მ. ბალიაშვილი
თ. მენაბდე

სერტიფიკაცია

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი 2006

უაკ 658.362
ბ 207

სერტიფიკაცია: დამხმარე სახელმძღვანელო /მ. ბალიაშვილი, თ. მენაბდე: ასოც. პროფ. მ. ბალიაშვილის რედაქციით. — თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი-ინფორმატიზაციის ცენტრი", 2006. - 91 გვ.

ბ 207

წიგნში განხილულია სერტიფიკაციის არსი. მოცემულია ინფორმაცია პროდუქციის, მომსახურების და ხარისხის სისტემების სერტიფიკაციის საორგანიზაციო და ნორმატიულ-ტექნოლოგიური საფუძვლების შესახებ. განხილულია სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის, საინსპექციო კონტროლის საკითხები, მოყვანილია სხვადასხვა სახის სერტიფიკატები, მათ შორის საერთაშორისო. აგრეთვე განხილულია პროდუქციის და მომსახურების ხარისხის შესაბამისობის დასასტურებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები.

წიგნი გამიზნულია საინჟინრო და საინჟინრო-ეკონომიკური სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. იგი შეიძლება გამოიყენონ კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის, ბიზნესის სკოლების მსმენელებმა. წიგნი სასარგებლო იქნება სერტიფიკაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების სპეციალისტებისათვის, მეწარმეთათვის, აგრეთვე მომხმარებლებისათვის.

რეცენზენტები:

საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტ.მ.დ., პროფ. *ვ. დოლიძე*

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის ფედერაციის მეტროლოგიის აკადემიის აკადემიკოსი *გ. ბაქრაძე*.

ISBN 99928-18-32-8

© გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი-ინფორმატიზაციის ცენტრი", 2006

1. სერტიფიკაციის არსი

სერტიფიკაცია პროცედურაა, რომლის საშუალებითაც მესამე მხარე წერილობით ადასტურებს, რომ პროცედურა, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მსოფლიოში ასეული წლებია მოქმედებენ ე.წ. „საკლასიფიკაციო ორგანიზაციები" – არასამთავრობო დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც აფასებენ გემებს მათი დაზღვევის მიზნით, რაც ფაქტიურად, მესამე მხარის მიერ სერტიფიკაციაა. ასეთი ორგანიზაციის მაგალითია Lloyd's Register (ლოიდის რეგისტრი) – ჩვენი დროის ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ინგლისში 1834 წ. და ამჟამად აქვს წარმომადგენლობა მსოფლიოს 127 ქვეყანაში. მსგავსი ორგანიზაციაა ბიურო ვერიტასი, რომელიც 1828 წლიდან მოქმედებს საფრანგეთში.

საკლასიფიკაციო ორგანიზაცია არსებობს რუსეთშიც. ესაა საზღვაო რეგისტრი (პირველადი დასახელება იყო რუსული რეგისტრი), რომელიც დაარსეს სადაზღვევო ორგანიზაციებმა სამოქალაქო გემების სერტიფიკაციის მიზნით. სერტიფიკაცია თავიდანვე ტარდებოდა საერთაშორისო წესებით. ამიტომ გემების მფლობელთათვის საზღვაო რეგისტრთან ურთიერთობა თავიდანვე გახდა არა მარტო პრესტიჟული, არამედ მომგებიანიც, ვინაიდან იმ ხომალდის დაზღვევა, რომლის უსაფრთხოება დადასტურებულია ავტორიტეტული ორგანოს მიერ იაფია, ხოლო ასეთი ხომალდის დაქირავება (ფრახტი) უფრო ძვირი. დღეისათვის საზღვაო რეგისტრი ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია.

სიტყვა სერტიფიკაცია ლათინურიდან წარმოდგება და ნიშნავს „გაკეთებულია სწორად" (certum-სწორი facere-გაკეთება). დასარწმუნებლად, რომ პროდუქტი „გაკეთებულია სწორად", საჭიროა ვიცოდეთ, რა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს იგი და როგორ მივიღოთ შესაბამისობის სარწმუნო მტკიცებულებები. სწორედ ამ მიზნით ტარდება *შესაბამისობის სერტიფიკაცია.*

შესაბამისობა – პროდუქციისადმი, პროცესისადმი ან მომსახურებისადმი დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

შესაბამისობის სერტიფიკატი სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადას-

ტურებს, რომ სათანადო სახით იდენტიფიცირებული პროდუქცია, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს.

ნორმატიული დოკუმენტები შესაძლოა იყოს სხვადასხვა სახის: ტექნიკური რეგლამენტი, საერთაშორისო, რეგიონული, სახელმწიფო სტანდარტი, სანიტარული წესები, ჰიგიენური ნორმები, სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური პასპორტი და სხვ.

საქართველოში მოქმედი „საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" აწესებს განმარტებებს:

შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) – დოკუმენტი, რომლითაც მწარმოებელი ან შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ადასტურებს, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტს ან სხვა წესებსა და მოთხოვნებს;

უსაფრთხო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც ნორმალურად და გონივრულად გამოყენებისას არ შეიცავს რისკს ან შეიცავს მხოლოდ ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ, მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა პროდუქციის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქციის სახიფათოდ მიჩნევის საფუძველი.

სახიფათო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება „უსაფრთხო პროდუქციის" განმარტებას.

ტექნიკური რეგლამენტი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან უშუალოდ ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების, ეტიკეტირების, პროდუქციასთან დაკავშირებული პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

კანონის თანახმად, კონკრეტული პროდუქციის/საქონლის პარტიის მიმართ ტექნიკურ რეგლამენტს შეიმუშავებს შესაბამისი სამინისტრო, სხვა სახელმწიფო დაწესებულება ან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები ეკვივალენტად მიიღება მაშინაც კი, როცა ისინი განსხვავდება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისაგან, მაგრამ ადეკვატურად ახორციელებს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისათვის დადგენილ მიზნებს.

სერტიფიკაცია ხელს უწყობს:

- ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გაუმჯობესებას მასში პროგრესული მოთხოვნების შეტანის გზით;
- წარმოების საორგანიზაციო-ტექნიკური დონის ამაღლებას;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას.

სერტიფიკაცია ითვლება ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმად. იგი უზრუნველყოფს პროდუქციის ობიექტურ შეფასებას, ადასტურებს მის უსაფრთხოებას, სამომხმარებლო თვისებებს.

საზღვარგარეთის ბევრ ფირმაში დიდძალი სახსრები და დრო იხარჯება მომხმარებლისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ მათი პროდუქცია მაღალხარისხიანია (ლიტერატურიდან ცნობილია – დანახარჯები ამ სამუშაოზე შეადგენს საწარმოდამამზადებლის საერთო დანახარჯების 1-2%-ს).

იმ პროდუქციის სერტიფიკაცია, რომელიც საშიშია მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ტარდება სავალდებულო წესით საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ამგვარად, სერტიფიკაციის მიზანია დაიცვას მომხმარებელი უხარისხო და საშიში პროდუქციისაგან, წარმოადგინოს უტყუარი და ზუსტი ინფორმაცია მისი ხარისხის შესახებ და, შესაბამისად, გაათავისუფლოს მყიდველი ხარისხის შეფასების რთული და შრომატევადი პროცედურისაგან.

სერტიფიკაციის გამოყენებით შესაძლებელია:

- პროდუქციის ხარისხისადმი შიდა და საზღვარგარეთელი მომხმარებლების ნდობის უზრუნველყოფა;
- მომხმარებლის დაცვა არაკეთილსინდისიერი დამამზადებლისაგან;
- პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონებისათვის;
- მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციის არჩევის პროცესის გაადვილება;
- მომხმარებლის უზრუნველყოფა პროდუქციის ხარისხის შესახებ საჭირო ინფორმაციით;

- არასერტიფიცირებული პროდუქციის გამომშვებთან კონკურენციაში წარმატების მიღწევა;

ასხვავებენ სერტიფიკაციის სამ ძირითად დონეს:

1) ცალკეული პროდუქციის სერტიფიკაცია;

2) საწარმოო ტექნოლოგიური პროცესის სერტიფიკაცია;

3) საწარმოს ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია (იგი ითვლება სერტიფიკაციის უმაღლეს დონედ).

უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან აქცენტის გადანაცვლება ხდება პროდუქციის სერტიფიკაციიდან ორგანიზაციაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების სერტიფიკაციაზე, რომელიც ხორციელდება ISO 9000 სერიის საერთაშორისო სტანდარტების სამი ძირითადი მოდელის მიხედვით.

ცალკეული პროდუქციის (მაგალითად, სადურგლო ჩაქუჩი და ხერხი) სერტიფიცირებისას სერტიფიკატი გაიცემა უშუალოდ მასზე. ხოლო იმ ნაკეთობის სერტიფიცირებისას, რომელიც აწყობილია სხვადასხვა დეტალებისა და საამწყობო ერთეულებისაგან, სერტიფიკატი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სერტიფიკატები ყველა ნაყიდ და მაკომპლექტებელ ნაკეთობაზე.

გათვალისწინებით იმისა, თუ ვინ ატარებს სერტიფიკაციას, შესაძლოა გამოვყოთ სერტიფიკაციის სამი სახე:

- *თვითსერტიფიკაცია* - ატარებს პროდუქციის დამამზადებელი ან მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია;
- *მომხმარებლის მიერ ჩატარებული სერტიფიკაცია*;
- *მესამე მხარის სერტიფიკაცია*, მას ახორციელებს ორგანიზაცია, რომელიც არ არის დამოკიდებული არც მომხმარებელზე და არც დამამზადებელზე.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს მესამე მხარის მიერ ჩატარებული სერტიფიკაცია.

სერტიფიკაციის პროცედურის ერთ-ერთი დოკუმენტია შესაბამისობის დეკლარაცია, რომელსაც გასცემს თავად დამამზადებელი.

შესაბამისობის დეკლარაცია დოკუმენტია, რომელშიც დამამზადებელი (გამყიდველი) აცხადებს, რომ დეკლარაციაში აღნიშნული პროდუქცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

„საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ განმარტავს, რომ მწარმოებელი ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე გატანამდე შეადგინოს და ხელი

მოაწეროს (მიიღოს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციას.

ვინაიდან სერტიფიკაცია არსებობს როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი, ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში, 2002 წლიდან დადგენილია იმ პროდუქციის ნომენკლატურა რომლის შესაბამისობა შესაძლოა დადგინდეს შესაბამისობის დეკლარაციით. მასში შედის: მაგალითად, ლაქ-საღებავები, კინო-ფოტო და მაგნიტური მასალები; ნავთობი, ნავთობ-პროდუქტები და გაზი; ელექტროტექნიკური მასალები და მოწყობილობები; გამოთვლითი ტექნიკა; ზოგადსამანქანათმშენებლო პროდუქცია; სამკერვალო პროდუქცია; ტყავის ფეხსაცმელები; კვების მრეწველობის პროდუქცია; ხორცის, რძის, თევზის პროდუქტები; მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია; საყოფაცხოვრებო-კულტურული, სამეურნეო, სასწავლო დანიშნულების ნაკეთობები და სხვ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩამონათვალში არის სასაქონლო პოზიციები, რომელთათვისაც შესაბამისობის დეკლარაცია ძალაშია მხოლოდ მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე პროდუქციის გამოცდის ოქმის არსებობისას.

სერტიფიკაციის რუსეთის სისტემაში გაიცემა სხვადასხვა სახის შესაბამისობის სერტიფიკატები, მაგალითად:

– შესაბამისობის სერტიფიკატი სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული ობიექტებისათვის (ე.წ. „ყვითელი სერტიფიკატი“);

– შესაბამისობის სერტიფიკატი სხვა დანარჩენი ობიექტებისათვის, რომლებიც არ შედის სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალში და შესაბამისად სერტიფიცირება ხდება ნებაყოფლობით (ე.წ. „ცისფერი სერტიფიკატი“).

სერტიფიკატის ერთ-ერთი სახეობაა *საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი* (Certificate of origin) – დოკუმენტი, რომელიც ცალსახად ადასტურებს საქონლის წარმოშობის ქვეყანას და გაცემულია ექსპორტიორი-სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

არსებობს ამ სერტიფიკატის საერთო ფორმა, CT-1 ფორმა და A ფორმა.

CT-1 ფორმა გამოიყენება პროდუქციის შეტანისას საბაჟოზე წარსადგენად დსთ –ის 10 ქვეყანაში, რომლებიც მონაწილეობენ 1994 წლის შეთანხმებაში ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვეთი, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი (დაემატა შემდგომ).

სხვა დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტირებისათვის გამოიყენება საერთო ფორმის ან A ფორმის სერტიფიკატი.

CT-1 ფორმის სერტიფიკატთან ერთად საჭიროა პროდუქციის წარმოშობის ექსპერტიზის აქტი. ეს ძირითადი დოკუმენტია, რომლის ღირებულება შეადგენს კონტრაქტით მიწოდებული პროდუქციის 1%-ს.

სერტიფიკატებთან ერთად შესაძლოა გამოიყენებოდეს ე.წ. *უარყოფის წერილი* (Отказное письмо) - ოფიციალური დოკუმენტი, გაცემული ავტორიტეტული ორგანოს მიერ, რომელშიც ნათქვამია, რომ სათანადოდ იდენტიფიცირებული პროდუქცია არ ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას ან მიეკუთვნება პროდუქციის ჯგუფს, რომლის შესაბამისობა შესაძლოა დადასტურებული იყოს შესაბამისობის დეკლარაციით. რუსეთში ამ დოკუმენტის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ ორ ორგანიზაციას: ВНИИС -ს და Ростест-ს. საბაჟოზე აღიარებენ მხოლოდ ВНИИС -ის მიერ გაცემულ უარყოფის წერილს. ეს დოკუმენტი საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის ცხადი დარგობრივი კლასიფიკატორის ან სეს სნ-ის რომელი კოდების მიხედვით უნდა მოხდეს პროდუქციის კლასიფიცირება. შესაბამისად ისმება კითხვა, აუცილებელია თუ არა პროდუქციის სერტიფიცირება. ასეთ კითხვას სვამენ მაკონტროლებელი ორგანოები (საბაჟოები და შემმოწმებლები სხვადასხვა უწყებებიდან). ზოგჯერ ეს საკითხი შეიძლება წამოჭრან კლიენტებმა, რომლებიც მოითხოვენ შესაბამისობის სერტიფიკატს სარეალიზაციოდ შეთავაზებულ პროდუქციაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე უარყოფის წერილი არსებობს ორი სახის: საბაჟოსათვის და ვაჭრობისათვის გამიზნული. რუსეთის ტერიტორიაზე შესაბამის ორგანოებში ამ დოკუმენტის მიღება შესაძლებელია 2-5 დღეში და დახლოებით ღირს: 350 პ.ე. საბაჟოსათვის განკუთვნილი და 150 პ.ე. ვაჭრობისათვის განკუთვნილი. 2004 წლიდან უარყოფის წერილები საბაჟოებისათვის გაყალბებისაგან დაცულია მცირე ზომის ჰოლოგრაფიული ეტიკეტით.

2. ნებაყოფლობითი და სავალდებულო სერტიფიკაცია

სერტიფიკაცია არსებობს სავალდებულო და ნებაყოფლობითი. ხშირად სავალდებულო სერტიფიკაციას კანონმდებლობით რეგულირებულ სფეროში სერტიფიკაციას უწოდებენ, ხოლო ნებაყოფლობითს კანონმდებლობით არარეგულირებულში. განვიხილოთ მიზეზები, რომლის გამოც იყოფა სერტიფიკაციის გამოყენების სფეროები.

სავალდებულო სერტიფიკაცია ვრცელდება პროდუქციასა .და მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია გარემოს, სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ასეთი საქონლისადმი კანონით დადგენილი მოთხოვნები ყველა მეწარმის მიერ უნდა სრულდებოდეს შიდა ბაზარზეც და იმპორტის დროსაც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანისას. საქონლისა და მომსახურების ნომენკლატურა, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას, განისაზღვრება სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანიზაციების მიერ და უნდა

შეესაბამებოდეს კანონს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ". სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოებს ახორციელებს დადგენილი წესით აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოები და საგამოცდო ლაბორატორიები. სქემაზე (ნახ.1) ნაჩვენებია სავალდებულო სერტიფიკაციის გავრცელების ზოგიერთი სფერო.



ნახ.1. სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურების სახეები

ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში პროდუქციის გამოცდა და შემდგომი შეფასება ტარდება ჰარმონიზებული დირექტივების შესაბამისობაზე უსაფრთხოებაში (მაგალითად, 90/106/EEC-სამშენებლო პროდუქცია, 88/378/EEC-სათამაშოების უსაფრთხოება). ამ დირექტივებში მოცემულია მინიმალური მოთხოვნები პროდუქციის უსაფრთხოების მაჩვენებლებისადმი და მათი შეფასების მეთოდები. ევროპულ თანამეგობრობაში შემავალი რომელიმე ქვეყნის ნაციონალური მოთხოვნები შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე დირექტივებშია მითითებული.

სავალდებულო სერტიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით:

1) კონკრეტული სახელმწიფოს სერტიფიკაციის სისტემისა და ერთგვაროვანი პროდუქციის შესაბამისი ჯგუფების სერტიფიკაციის სისტემის დოკუმენტების მიხედვით;

2) დამამზადებლის განცხადება-დეკლარაციის საფუძველზე, ევროკავშირის დოკუმენტებზე დამყარებული სერტიფიკაციის წესების შესაბამისად.

მეორე ფორმის გამოყენების უფლებას იძლევა სახელმწიფოში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სამუშაოების მაკოორდინირებელი უმაღლესი ორგანო.

რუსეთის სერტიფიკაციის სისტემაში არსებობს სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული იმპორტული და სამამულო (რუსეთის) პროდუქციის ჩამონათვალი. ამ ჩამონათვალისადმი პროდუქციის შესაბამისობა განისაზღვრება სეს სნ და დარგობრივი კლასიფიკატორის კოდების შესაბამისად. ამრიგად თუ პროდუქცია შედის ამ ჩამონათვალში აუცილებელია მისი სერტიფიცირება.

ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია ტარდება იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომელიც არ შედის სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციისა და მომსახურების ჩამონათვალში. ამავე სახის სერტიფიკაცია უტარდება ხარისხის სისტემებს. მე-2 ნახაზზე მოყვანილია ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ობიექტების ჯგუფები.



ნახ.2. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ობიექტები

ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია როგორც ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ორგანო. ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის აუცილებლობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სერტიფიკაციის ობიექტის არაშესაბამისობა

სტანდარტებთან ან ნორმატივებთან შეხებაშია მსხვილი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, ინდუსტრიის დარგების და მომსახურების სფეროების ეკონომიკურ ინტერესებთან.

საქართველოს კანონის „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" მე-3 მუხლის მიხედვით "...ნებაყოფლობით სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება სავალდებულო არ არის და კონკრეტული პროდუქციის სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. ...სავალდებულო სერტიფიცირება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში და მას განახორციელებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო".

3. სერტიფიკაციის სისტემა

სერტიფიკაციის სამუშაოები დაკავშირებულია სერტიფიკაციის სისტემის შექმნასთან, რომელიც განსაზღვრავს სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზაციის ძირითად პრინციპებსა და წესებს, საორგანაზაციო სტრუქტურას და მის ორგანოებს.

სერტიფიკაციის სისტემის ქვეშ იგულისხმება თანამედროვე საგამოცდო, საკონტროლო-საზომი მოწყობილობით, გამოთვლითი ტექნიკით, მეთოდური და საკადრო უზრუნველყოფით შეიარაღებული დამოუკიდებელი საორგანიზაციო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია საჭირო უტყუარობით ექსპერიმენტულად შეაფასოს სასერტიფიკაციო პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოების) შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

მას აქვს უფლება შესაბამისობის დადებითად შეფასების შემთხვევაში გასცეს სერტიფიკატი და ლიცენზია შესაბამისობის ნიშნის გამოყენებზე, ჩაატაროს სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლი და შეაჩეროს ან გააუქმოს ამ დოკუმენტების მოქმედება თუ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი გაუარესდა.

სერტიფიკაციის სისტემას მართავს სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, რომელიც ზედამხედველობს მოცემული სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებას. სერტიფიკაციის სისტემები შესაძლოა შეიქმნას და ფუნქციონირებდეს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. ეროვნული სისტემის მაგალითია რუსეთში მოქმედი სერტიფიკაციის სისტემები ГОСТ Р, Стандарт-Тест, Евро-Регистр, რეგიონალურისა – ელექტროსაყოფაცხოვრებო ნაკეთობების უსაფრთხოების მოთხოვნების

შესაბამისობაზე სერტიფიკაციის სისტემა სკანდინავიის ქვეყნებში, საერთაშორისო სისტემისა – საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის სისტემა ელექტრომოწყობილობების გამოცდისა უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

გავრცელების სფეროს შესაბამისად სერტიფიკაციის სისტემა შეიძლება შეიქმნეს გარკვეული პროდუქციის, მომსახურების, სამუშაოების, ხარისხის სისტემების და სხვ. მიმართებით ან სერტიფიკაციის სხვადასხვა ობიექტების შემცველი სერტიფიკაციის სისტემის სახით.

სერტიფიკაციის სისტემას უნდა ჰქონდეს საორგანიზაციო სტრუქტურა, ჰყავდეს სერტიფიკაციის სისტემის მონაწილეები, განსაზღვრული ჰქონდეს საქმიანობის სფერო და შესაბამისობის დადასტურების ობიექტები, სისტემის ფუნქციონირების წესები და სერტიფიკაციის წესები, შესაბამისობის ნიშანი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სერტიფიკაციის სხვა სისტემების მიერ, სერტიფიკატის ფორმები, გააჩნდეს სისტემის რეესტრი.

ოფიციალურ ენას წარმოადგენს სახელმწიფო ენა. დასაშვებია დაკუმენტის გაფორმება სხვა ენაზე.

რუსეთის სერტიფიკაციის სისტემაში ГОСТ Р სერტიფიკატებს გასცემენ ГОССТАНДАРТ-ის სისტემაში აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოები (მოსკოვში ასეთი დაახლოებით 360-ია და თითოეულ მათგანს აქვს აკრედიტაციის საკუთარი სფერო).

ГОСТ Р სისტემაში სერტიფიკაციის ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ თუ პროდუქცია ექვემდებარება ჰიგიენურ ექსპერტიზას (სერტიფიკაციას), ГОСТ Р შესაბამისობის სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა (ჰიგიენური ხერტიფიკატი), რომლის ნომერი აუცილებლად უნდა შევიდეს შესაბამისობის სერტიფიკატში.

სერტიფიკაციის სისტემის სტრუქტურაში შესაძლოა შედიოდეს მეთოდური ცენტრები, სერტიფიკაციის ექსპერტების მოსამზადებელი ორგანიზაციები, და სხვა ორგანიზაციები რომლებიც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული სერტიფიკაციის სისტემის წესებით.

როდესაც საჭიროა ნიშან-თვისებათა გარკვეული ერთიანობის მქონე პროდუქციის სახეობათა ერთობლიობის მიმართ არსებული საერთო წესების დაზუსტება, იქმნება *ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა.* მისი ფორმირებისას ითვალისწინებენ, რომ:

✓ არსებობს ანალოგიური საერთაშორისო სისტემა;

✓ ერთიანია პროდუქციის ტექნიკური მოწყობილობის პრინციპები (ფუნქციონირების ხერხები) ;

✓ ერთიანია პროდუქციის დანიშულება ან მისდამი მოთხოვნები;

✓ ერთიანია გამოცდის მეთოდები;

✓ ერთიანია ნორმატიული დოკუმენტების გავრცელების სფერო.

ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ცენტრალური ორგანო. სერტიფიკაციის ერთ სისტემაში ქვესისტემის სახით შემავალ ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემაში გამოიყენება საერთო სერტიფიკატების ფორმები და შესაბამისობის ნიშნები.

რუსეთში მოქმედებს ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის რამდენიმე სისტემა: ელექტრომოწყობილობების სერტიფიკაციის (ССЭ); უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაზე; მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების; ტუმბოების, არმატურის, მილგაყვანილობის და სამაცივრო ტექნიკის; სათამაშოების; ალმასის ფხვნილისა და ინსტრუმენტების; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების; საბავშვო ასორტიმენტის საქონლის.

სერტიფიკაციის სისტემა უნდა იყოს რეგისტრირებული კომპეტენტური ორგანოს მიერ.

სერტიფიკაციის სისტემის ძირითადი მიზნებია:

• მომხმარებლის დაცვა ისეთი პროდუქციის შეძენისაგან (გამოყენებისაგან), რომელიც საშიშროებას უქმნის მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას, აგრეთვე გარემოს.

• საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური დაბრკოლებების მოხსნა პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით;

• სამომხმარებლო ბაზრის დაცვა უხარისხო და პოტენციურად საშიში პროდუქციისაგან.

ძირითადად სერტიფიკაციის სისტემით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- პროდუქციის სერტიფიკაცია;
- მომსახურების სერტიფიკაცია;
- პერსონალის სერტიფიკაცია;
- ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია.

სერტიფიკაციის სისტემას შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა (ნახ.3).



ნახ.3. სერტიფიკაციის სისტემის საერთაშორისო სტრუქტურა

4. სერტიფიკაციის სქემები

სერტიფიკაცია ტარდება სერტიფიკაციის სისტემაში მიღებული სქემებით.

სერტიფიკაციის სქემების შერჩევა ხდება ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემებში – თვით პროდუქციის, მისი წარმოების, მიმოქცევის და გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით. სერტიფიკაციის კონკრეტული სქემის არჩევას მოცემული პროდუქციისათვის განსაზღვრავს სერტიფიკაციის ორგანო.

ISO-ს და ევროსაბჭოს მიერ მიღებული სერტიფიკაციის სქემა პროდუქციისათვის მოცემულია 1-ლ ცხრილში.

საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 5.020:2006 „შესაბამისობის შეფასება. პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი“ თანახმად საქართველოში პროდუქციის სერტიფიკაცია ტარდება სერტიფიკაციის 1, 3, 5, 7 და 8 სქემების მიხედვით.

ცხრილი 1

პროდუქციის სერტიფიკაციის სქემები

სქემის ნომერი	გამოცდები და შესაბამისობის დასაბუთების სხვა საშუალებები	წარმოების (ხარისხის სისტემის) შემოწმება	სერტიფიცირებული პროდუქციის (ხარისხის სისტემის) შემდგომი კონტროლი
1	ტიპის გამოცდა	–	დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა
1ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	
2	ტიპის გამოცდა		ეაჭრობაში აღებული ნიმუშების გამოცდა
2ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ეაჭრობაში აღებული ნიმუშების გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
3	ტიპის გამოცდა	–	დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა
3ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
4	ტიპის გამოცდა		ეაჭრობაში და დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა
4ა	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ეაჭრობაში და დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი
5	ტიპის გამოცდა	წარმოების ან ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის (წარმოების) კონტროლი. ეაჭრობაში და (ან) დამამზადებელთან აღებული ნიმუშების გამოცდა
6	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის კონტროლი
7	პარტიის გამოცდა	–	დამამზადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა
8	თითოეული ნიმუშის გამოცდა	–	–
9	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	–	
9ა	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	
10	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით		ეაჭრობაში ან დამამზადებელთან აღებული ნიმუშების გამოცდა
10ა	შესაბამისობის შესახებ დეკლარაციის განხილვა თანმხლები დოკუმენტაციით	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	ეაჭრობაში ან დამამზადებელთან აღებული ნიმუშების გამოცდა. წარმოების მდგომარეობის ანალიზი

1...6 და 10 სერტიფიკაციის სქემები გამოიყენება ისეთი პროდუქციის სერტიფიკაციის დროს, რომელსაც დამამზადებელი უშვებს სერიულად სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში. 7, 8, 9 სქემები - უკვე გამოშვებული პარტიის ან ერთეული წარმოების ნაკეთობის სერტიფიკაციის დროს.

კონკრეტულად სქემები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

სქემა 1 – შეზღუდული (მცირე) მოცულობის პროდუქციის რეალიზაციის დროს, რომლის მიწოდება ხდება მოკლე დროის განმავლობაში ცალკეულ პარტიებად (იმპორტული პროდუქციისათვის - მოკლევადიანი კონტრაქტების დროს);

სქემა 2 – იმპორტული პროდუქციისათვის ხანგრძლივი კონტრაქტების დროს;

სქემა 3 პროდუქციისათვის, რომლის სტაბილურობა მისი სერიული წარმოების დროს ეჭვს არ იწვევს;

სქემა 4 – სერიული წარმოების პროდუქციაზე ყოველმხრივი და მტკიცე საინსპექციო კონტროლის აუცილებლობისას;

სქემა 5 – სერიული წარმოების პროდუქციისათვის, რომელსაც გააჩნია სერტიფიცირებული ხარისხის სისტემები;

სქემა 6 – ისეთი პროდუქციის სერტიფიკაცის დროს, რომლისთვისაც: შერჩეული პროდუქციის მოცულობა არ არის საკმარისი გამოშვებული პროდუქციის შესაფასებლად, ტექნოლოგიური პროცესები მგრძნობიარეა გარე ფაქტორებისადმი, პროდუქციის ვარგისიანობის ვადა უფრო ნაკლებია გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო დროზე, ხშირად ხდება პროდუქციის მოდიფიკაცია და სხვ.;

სქემა 7 – პროდუქციის პარტიისათვის;

სქემა 8 – როდესაც მოცემული პროდუქციის წარმოებას ან რეალიზაციას აქვს ერთჯერადი ხასიათი (ერთეული ნაკეთობისათვის);

სქემა 9 – მცირე მოცულობის არაგანმეორებადი იმპორტული პროდუქციის პარტიის სერტიფიკაციის დროს, როდესაც პროდუქცია დამზადებულია მსოფლიო ბაზარზე აღიარებული ფირმის მიერ, ან ერთეული ნაკეთობის კომპლექტის სერტიფიკაციის დროს, როდესაც ისინი შეძენილია სამამულო საწარმოო ან სხვა ობიექტებისათვის;

სქემა 10 – სამამულო პროდუქციის ხანგრძლივი წარმოების დროს მცირე მოცულობებით გამოშვებულ პროდუქციაზე.

მომსახურების სერტიფიკაციის სქემები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

მომსახურების სერტიფიკაციის სქემები

სერტიფიკაციის სქემის ნომერი	შემსრულებლის ოსტატობის შეფასება	მომსახურების გაწევის პროცესის შეფასება	საწარმოს ატესტაცია (შეფასება)	ხარისხის სისტემის შეფასება	მომსახურების შედეგების შემოწმება (შერჩევა)	შესაბამისობის დეკლარაციის განხილვა	საინსპექციო კონტროლი
1	I				I		I
2		I			I		I
3					I		I
4			I		I		I
5				I			I
6						I	I
7				I		I	I

ცხრილში არსებული აღნიშვნა „I" ნიშნავს, რომ პროცედურა ტარდება.

სქემა 1 გამოიყენება მომსახურებისათვის, რომლის ხარისხს და უსაფრთხოებას განაპირობებს შემსრულებლის ოსტატობა (მაგალითად, ხელოსანი-შემკეთებელი, ექსკურსიის მძღოლი, პარიკმახერი ანუ სტილისტი, მასაჟისტი, პედაგოგი და სხვ.). რეკომენდებულია ინდივიდუალური მეწარმეების და მცირე საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების შესაფასებლად.

სქემა 2 ითვალისწინებს მომსახურების გაწევის პროცესის შეფასებას ტექნოლოგიური პროცესის, შემსრულებლის ოსტატობის, მომსახურების პირობების, პროცესის უსაფრთხოების და სტაბილურობის გათვალისწინებით.

სქემა 3 გამოიყენება საწარმოო (მატერიალური) მომსახურების სერტიფიკაციისას, მაგალითად, ინდივიდუალური შეკვეთით ნაკეთობის დამზადებისა და რემონტისას.

სქემა 4 ითვალისწინებს საწარმოს შეფასებას, რომლის დროსაც მოწმდება არა მარტო მომსახურების ხარისხი, არამედ საწარმოსათვის გარკვეული კატეგორიის, კლასის, ვარსკვლავის მინიჭების სისწორე. საინსპექციო კონტროლი შესაძლოა ჩატარდეს სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ამ სქემის გამოყენება რეკომენდებულია მომსახურების სფეროს მსხვილი საწარმოების სერტიფიკაციისათვის.

სქემა 5 რეკომენდებულია სახიფათო (მაგალითად, სამედიცინო, მგზავრთა გადაყვანა და სხვ.) სამუშაოების და მომსახურების სერტიფიკაციისათვის.

სქემა 6 და 7 ითვალისწინებს შესაბამისობის დეკლარაციის და მასზე დართული დოკუმენტაციის გამოყენებას. სქემა 6–ს იყენებენ მაღალის დონის ხარისხის მქონე მომსახურების

შემსრულებელი იმიჯის მქონე მცირე საწარმოს მომსახურების სერტიფიკაციისას. სქემა 7–ს იყენებენ როდესაც შემსრულებელს აქვს ხარისხის სისტემა. შესაბამისად, მომსახურების გაწევის შეფასება მდგომარეობს საწარმოს შემოწმებაში იმ მიზნით, რომ დადასტურდეს მომსახურების შესაბამისობა ხარისხის სისტემის სტანდარტებთან.

მომსახურების და სამუშაოს შესრულების შედეგების შემოწმებისას, სერტიფიკაციის ობიექტების სპეციფიკის გათვალისწინებით, გარდა ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მეთოდებისა, გამოიყენება სოციოლოგიური და საექსპერტო მეთოდები (ხარისხის შეფასება კლიენტების გამოკითხვით, კერძების დეგუსტაცია, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და სხვ.)

საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 5.010:2006 „შესაბამისობის შეფასება. მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი" თანახმად მოქმედებს მომსახურების სერტიფიკაციის შემდეგი სქემები (ნახ.4).

სერტიფიკაციის სქემის ნომერი	მომსახურების შემსრულებლის შეფასება	მომსახურების გაწევის პროცესის შეფასება	ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია	მომსახურების შედეგების შერჩევითი შემოწმება (გამოცდა)	საინსპექციო კონტროლი
1	I			I	მომსახურების შემსრულებლის შეფასება
2		I		I	მომსახურების გაწევის პროცესის კონტროლი
3	I	I		I	შემსრულებლის და მომსახურების გაწევის პროცესის კონტროლი
4			I		ხარისხის სისტემის მომსახურების შესრულების შემოწმება

ნახ.4. მომსახურების სერტიფიკაციის სქემები, რომლებიც გამოიყენება საქართველოში

ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში გამოყენებულია მოდულების სახით აგებული სერტიფიკაციის სქემები (ნახ.5).

ყოველი მოდული შესაძლოა შეიცვალოს (შეივსოს) კონკრეტული დირექტივების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ დამამზადებლის დეკლარაცია პროდუქციის შესაბამისობის შესახებ არ არის ბაზარზე გასვლის ნებართვა, იგი მხოლოდ ევროკავშირში თავისუფალი ვაჭრობის გარანტიაა.



ნახ.5. შეფასების მოდულები

მოდულების არსი და გამოყენების პირობები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

მოდულების არსი და გამოყენება

მოდული	მოდულის არსი	გამოყენების სტადია
A	დამამზადებელი მესამე მხარის ჩარევის გარეშე აცხადებს დირექტივის მოთხოვნების შესაბამისობას, მტკიცებულებად გამოიყენება ნაკეთობის ტექნიკური დოკუმენტაცია	დაპროექტება და წარმოება
Aa	A მოდულის პროცედურაში მესამე მხარის ჩართვა	
B	ამორჩეული ნიმუშის გამოცდა მესამე (ევროპული კომისიის მიერ რეგისტრირებული) მხარის მიერ	დაპროექტება
C	დამამზადებელი აცხადებს ყველა ნაკეთობის შესაბამისობას ნიმუშისადმი B მოდულის მიხედვით	წარმოება
D	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ნაკეთობის წარმოების, გამოცდის და კონტროლისას ISO 9002-ის მიხედვით,	წარმოება
E	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ნაკეთობის გამოცდის და კონტროლისას ISO 9003-ის შესაბამისად	წარმოება
F	თითოეული ნაკეთობის ცალობითი გამოცდა მესამე მხარის მიერ	წარმოება
G	ნაკეთობის ცალობითი გამოცდა მესამე მხარის მიერ. გამოიყენება ცალობითი ან წვრილსერიული წარმოებისას	დაპროექტება და წარმოება
H	დამამზადებელს უნდა ჰქონდეს სრული საწარმოო ციკლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ISO 9001-ის შესაბამისად	დაპროექტება და წარმოება

5. სერტიფიკაციის ორგანო

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო (სერტიფიკაციის ორგანო) – აკრედიტებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირი, საკუთრების ფორმის მიუხედავად, რომელიც დადგენილი პროცედურების მეშვეობით აფასებს პროდუქციის ან მომსახურების შესაბამისობას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან ან ნებაყოფლობით სტანდარტებთან და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს.

სერტიფიკაციის ორგანო შეიძლება იყოს მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაცია, რომელიც დამოუკიდებელია პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციით დაინტერესებული განმცხადებლისაგან, მომხმარებლისაგან და სხვა მხარეებისაგან (წარმოადგენს მესამე მხარეს).

სერტიფიკაციის ორგანოს უნდა ჰყავდეს განცხადებულ აკრედიტაციის სფეროში მუშაობის, ხარისხის შეფასების გამოცდილების მქონე სპეციალისტი-ექსპერტები, აგრეთვე გააჩნდეთ ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტები სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარებისათვის.

სერტიფიკაციის ორგანოს ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს სერტიფიკაცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობა.

სერტიფიკაციის ორგანოს ძირითადი ფუნქციებია:

- პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანიზება და ჩატარება;
- შესაბამისობის სერტიფიკაციის გაფორმება, რეგისტრაცია და გაცემა, მათი მოქმედების ვადის გაგრძელება;
- გაცემული სერტიფიკატების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა;
- უცხოური სერტიფიკატების აღიარება;
- სერტიფიცირებული პროდუქციის რეესტრის წარმოება;
- სერტიფიკაციის სქემების შერჩევა;
- სერტიფიკაციის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება;
- სერტიფიკაციის შესახებ აპელაციების მიღება და განხილვა;
- თავისი საქმიანობის შიდა შემოწმება (შიდა აუდიტი);
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და ატესტაციის ორგანიზება.

სერტიფიკაციის ორგანოს უნდა ჰყავდეს კომპეტენტური მუდმივი პერსონალი, ორგანოს ხელმძღვანელი და სპეციალისტები, რომლებიც უნდა იყვნენ ატესტირებულნი როგორც ექსპერტები. თანამშრომლის მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციის დებულების დარღვევის შემთხვევაში იგი გადაყენებული უნდა იქნეს სერტიფიკაციის ჩატარების სამუშაოებიდან. ექსპერტები, რომლებიც მიწვეულნი იქნებიან სასერტიფიკაციო სამუშაოების ჩასატარებლად, არ უნდა იყვნენ იმ საწარმოს და ორგანიზაციის მუშაკები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სერტიფიკაციის შედეგებით.

სერტიფიკაციის ორგანოს უნდა ჰქონდეს აკრედიტაციის სფეროს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციის ფონდი.

სერტიფიკაციის ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი სქემა მოცემულია მე-6 ნახაზზე.



ნახ.6. სერტიფიკაციის ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების სქემა

საქართველოში მოქმედებს საკ 13 : 2006 – აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტი "ზოგადი მოთხოვნები შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (სერტიფიკაციის ორგანოების) აკრედიტაციისათვის". ესაა სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45011:2006 სტანდარტის გამოსაყენებლად. ამ დოკუმენტის თანახმად, სერტიფიკაციის ორგანო არის

იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებელია პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის შეფასების დაინტერესებული განმცხადებლისაგან (მწარმოებლისაგან), მომხმარებლისაგან და სხვა მხარეებისაგან.

სერტიფიკაციის ორგანოს პოლიტიკა და პროცედურები არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს და უნდა იყოს ხელმისაწვდომი განმცხადებლისათვის. მომწოდებლის პროდუქციის შეფასების კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის ნორმატიული დოკუმენტის წაყენებულ მოთხოვნებს. მან უნდა უზრუნველყოს სერტიფიკაციის პროცესის კონფიდენციალობა, ობიექტურობა და სამართლიანობა, კონსულტაციები უნდა გაუწიოს განმცხადებელს სერტიფიცირების საკითხებში.

სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია:

- დაიცვას აკრედიტაციის კრიტერიუმებით დადგენილი მოთხოვნები;
- დაიცვას სერტიფიკაციის ყველა წესი და პროცედურები, რომელიც დადგენილია ნორმატიული დოკუმენტებით;
- გასცეს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ექვს თვეში ერთხელ წარმოადგინოს აკრედიტაციის ცენტრში წერილობითი ინფორმაცია შესაბამისობის სერტიფიკატების გაცემაზე, გაუქმებასა და მოქმედების შეჩერებაზე;
- დროულად აცნობოს აკრედიტაციის ცენტრს ყველა იმ ცვლილების შესახებ (სტატუსის, სტრუქტურის, ორგანიზაციულ-მეთოდური დოკუმენტაციის, ექსპერტთა შემადგენლობის), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს განმეორებითი აკრედიტაციის ჩატარების და მოცემული შეთანხმების გადასინჯვის (ან შეჩერების) საკითხის განხილვის აუცილებლობა;
- შექმნას ყველა საჭირო პირობა საინსპექციო კონტროლის (მათ შორის არაგეგმური) და ზედამხედველობის განსახორციელებლად;

საკ 13 2006-ის თანახმად სერტიფიკაციის ორგანოს უნდა გააჩნდეს:

- იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკაციის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრინციპების განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას;

• სასერტიფიკაციო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი უფლებები და მოვალეობები;

• შესაბამისი განათლების, მომზადების, ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი (მათ შორის ექსპერტები);

• სერტიფიკაციის განსახორციელებლად ტექნიკური საშუალებები და მასალები;

• შესაბამისი შეთანხმებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ქმედებას სერტიფიკაციის პროცედურების განსახორციელებლად;

• დადგენილი წესი პრეტენზიების, აპელაციების და საკამათო საკითხების განსახილველად.

სერტიფიკაციის ორგანოს შესაძლოა გააჩნდეს განცხადებული სფეროს შესაბამისად აკრედიტებული ტესტირების (საგამოცდო) ლაბორატორია, თუ ასეთი არ არსებობს მაშინ მას უნდა ჰქონდეს სხვა აკრედიტებულ ლაბორატორიებთან ხელშეკრულება, რომელთა აკრედიტაციის სფერო გადაფარავს სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის სფეროს.

სერტიფიკაციის ორგანომ უნდა შეიმუშაოს და მუშა მდგომარეობაში იქონიოს ყველა დოკუმენტირებული პროცედურები, რომლებიც შეესაბამება სერტიფიცირების ფუნქციებს. განსაზღვროს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია, პროცედურები, ატესტირებული მეთოდიკები, ასევე მოთხოვნები, რომლებიც ეხება ნიმუშის აღებას, შეფასებას, გამოცდას და კონტროლს, რის საფუძველზეც ხორციელდება სერტიფიცირების სქემების შერჩევა.

სერტიფიკაციის ორგანო თავად უნდა ზრუნავდეს მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე, ამიტომ უნდა გააჩნდეს ხარისხის შიდა სისტემა, რომელშიც დოკუმენტალურად იქნება გაფორმებული სამუშაოს პროცედურები, ამოცანები, მოცულობა აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად და მოვალეობები ხარისხის უზრუნველყოფაში.

სერტიფიკაციის ორგანომ რეგულარულად უნდა განაახლოს და წარმოადგინოს:

▪ დოკუმენტირებული პროცედურა, რომელიც შეიცავს შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის, მოქმედების შეჩერების, გაუქმების ან დამოწმების წესს;

▪ ინფორმაცია სერტიფიცირების პროცესის და გამოყენებული სქემის შესახებ;

▪ ინფორმაცია პრეტენზიების, აპელაციების განხილვაზე;

- ჩამონათვალი სერტიფიცირებული პროდუქციის და მისი მომწოდებლის შესახებ.

სერტიფიკაციის ორგანომ უნდა უზრუნველყოს შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტების (სერტიფიკატების ბლანკების, ოქმების, აქტების) აღრიცხვა, შენახვა სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში.

სერტიფიკაციის ორგანოს დებულებაში უნდა ჰქონდეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭიროების შემთხვევაში სერტიფიცირების პროცესის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას.

სერტიფიკაციის ორგანომ უნდა განიხილოს და რეგისტრაციაში გაატაროს დამკვეთების ან სხვა მხარისგან შემოსული აპელაციები, პრეტენზიები და სადაო საკითხები. უნდა მიიღოს შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები და დოკუმენტალურად გააფორმოს მიღებული ქმედებები.

2007 წლის მონაცემებით სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის" მიერ საქართველოში აკრედიტებულია სერტიფიკაციის (შესაბამისობის შემფასებელი) 20 ორგანო, რომლებიც განლაგებულია თბილისში, ქობულეთში, ბათუმში და გურჯაანში. თოთოეულ მათგანს აქვს განცხადებული აკრედიტაციის სფერო. მაგალითად, კავშირი "ექსპერტი"-ს პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის სფეროში შედის: სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტები; ნავთობპროდუქტები; ლაქ-საღებავები; პარფიუმერია; ქიმია; სასუქები; მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია; ქაღალდი; ავეჯი; სამშენებლო მასალა; მინა, თიხა, კერამიკა, რეზინა; საყოფაცხოვრებო ტექნიკა; დენის წყაროები; ელექტროტექნიკური პროდუქცია; ალუმინის ფოლგა. რეგისტრირებული კავშირი „მშენებელი 5"-ის აკრედიტაციის სფეროში შედის: არამადნეული მასალები; ფორიანი შემავსებლები; მოსაპირკეთებელი და საგზაო მასალები; ცემენტები; ბეტონი და მისი ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი; მზა ნაგლინი შავი ლითონისგან; ფოლადისა და თუჯის მილები; კერამიკული მადანი და მასალები; პოლიმერული მასალები, პლასტმასები და მათი ნაწარმი.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტი ISO/TS 22003:2007 "საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მართვის სისტემები. მოთხოვნები საკვები პროდუქტების უსაფრთხოების აუდიტისა და სერტიფიკაციის ორგანოებისადმი".

6. საგამოცდო ლაბორატორია

საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტის საკ 1.2 2006 "ზოგადი მოთხოვნები ლაბორატორიების აკრედიტაციისადმი" (სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45001:2006 და სსტ ისო/იეკ 17025:2006 სტანდარტების გამოსაყენებლად) მიხედვით მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე აკრედიტებულ ლაბორატორიას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო შესაბამისობის შეფასების, გამოცდების, დამოწმების სამუშაოებში.

აკრედიტირებული ტექნიკურ კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე – ნიშნავს, რომ ლაბორატორია წარმოადგენს დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას, წარმოადგენს მესამე მხარეს, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს აკრედიტაციის კრიტერიუმების შესაბამისად.

ამავე ტექნიკური რეგლამენტით განმარტებულია შემდეგი ტერმინები:

ტესტირების (საგამოცდო) ლაბორატორია – ლაბორატორია, რომელიც ტექნიკური ოპერაციებისა და დადგენილი პროცედურების მეშვეობით ადგენს პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული პროცესის ერთ ან რამდენიმე მახასიათებელს;

გამოცდა (ტესტირება) – ტექნიკური ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებს მოცემული პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის განსაზღვრას დადგენილი პროცედურის მიხედვით;

გამოცდის მეთოდი – გამოცდის ჩატარების დადგენილი ტექნიკური პროცედურა;

გამზომი ლაბორატორია – ტესტირების ლაბორატორიის სახეობა, რომელშიც ტარდება გაზომვები.

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად ლაბორატორიას უნდა გააჩნდეს:

- ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უსრულველყოფს თანამშრომლებისათვის საქმიანობის კონკრეტულ სფეროს და მისი დაქვემდებარების საზღვრებს (ვალდებულებები და პასუხისმგებლობა);
- დოკუმენტირებული დებულება, რომელიც მოიცავს ლაბორატორიის საქმიანობის სფეროს, ორგანიზაციულ

სტრუქტურას, კვალიფიცირებული პერსონალით უზრუნველყოფას, ფუნქციებს, უფლებებს, პასუხისმგებლობას, ურთიერთობებს სხვა ორგანიზაციებთან, საინსპექციო კონტროლს.

• ლაბორატორიას უნდა ჰყავდეს ტექნიკური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ტექნიკური დავალებების, ფუნქციების და ვალდებულებების განხორციელებაზე.

ლაბორატორია დაკომპლექტებული უნდა იყოს შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით და უზრუნველყოფდეს მათ მუდმივ სწავლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. უნდა არსებობდეს აუცილებელი დოკუმენტაცია და მონაცემები, რომლებიც ეხება პერსონალის კვალიფიკაციას, პრაქტიკულ გამოცდილებას.

დაკალიბრების და დამოწმების ჩატარების სამუშაოებში მონაწილე სპეციალისტები უნდა იყვნენ ატესტირებულნი აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილი წესით.

ლაბორატორია აღჭურვილ უნდა იქნეს დანადგარებით, მოწყობილობებით, გამზომი საშუალებებით, აგრეთვე სახარჯო მასალებით (ქიმიური რეაქტივები, ნივთიერებები და სხვ.).

გარემო პირობები, რომელშიც ხორციელდება ლაბორატორიული სამუშაოები, გარანტიას უნდა იძლეოდეს მიღებულ გაზომვათა შედეგების უტყუარობაზე.

ლაბორატორიის განლაგება, შენობა და ფართობი, რომელიც გამოიყენება ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად, ენერგიის წყარო, განათება, გათბობა, ვენტილაცია უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაოს სათანადო წესების დაცვას. შესაძლებელი უნდა იყოს გაზომვის შედეგებზე მოქმედი გარემოს ფაქტორების (ტემპერატურის, ტენიანობის, ვიბრაციის, სისუფთავის და სხვა) გათვალისწინება.

ზოგ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა ორგანიზაციის მოწყობილობები და გამზომი საშუალებები. ასეთ შემთხვევაში ლაბორატორიამ უნდა განახორციელოს ამ მოწყობილობების და გამზომი საშუალებების დადგენილი წესით ატესტირება და დამოწმება.

ლაბორატორია აღჭურვილ უნდა იქნეს მისი საქმიანობის სფეროს ფარგლებში საჭირო მოწყობილობებით და გამზომი საშუალებებით. ყველა მოწყობილობების მომსახურება უნდა წარმოებდეს დადგენილი წესით და სათანადო მომსახურება უნდა იყოს დოკუმენტირებული. მოწყობილობას უნდა გააჩ-

ნდეს ნიშანდება, გამზომ საშუალებებს მოქმედი დამ-ღა, დამოწმების მოწმობა ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ატესტაციის, დამოწმების, დაკა-ლიბრების შედეგები. ლაბორატორიის პასპორტში შეტანილი მოწყობილობების და გამზომი საშუალებების თითოეულ ერ-თეულს უნდა გააჩნდეს სარეგისტრაციო ბარათი შემდეგი მონაცემებით:

– მოწყობილობის და გამზომ საშუალებათა დასახელება, მარკა და ტექნიკური მდგომარეობა;

– დამამზადებელი საწარმო (ფირმა);

– საქარხნო და საინვენტარიზაციო ნომერი;

– ატესტაციის, დამოწმების, დაკალიბრების ან მიკვლევა-დობის შედეგები და შემდგომი პროცედურების თარიღი;

– მომსახურების და რემონტის მონაცემები.

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის თანახმად ლაბორა-ტორიას უნდა გააჩნდეს:

- გამოცდების, ანალიზების, გაზომვების, დაკალიბრე-ბის, დამოწმებების მეთოდები და პროცედურები;
- შესაბამისი მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
- აქტუალიზირებული და პერსონალისათვის ხელმისაწვ-დომი სტანდარტები, სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები, ნორმები და წესები, საცნობარო მონაცემები, რომელსაც იყენებენ ლაბორატორიები;
- ხარისხის შიდა სისტემა, რომელშიც აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად დოკუმენტალურად იქნება გაფორმე-ბული ამოცანები, სამუშაოს პროცედურები, და მოვალეობები ხარისხის უზრუნველყოფაში.

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამუშაოები აისახება დოკუმენტალურად გაფორმებულ გამოცდის ოქმში, რომელ-შიც კონკრეტულად იქნება ნაჩვენები შედეგები და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს გამოცდების შედეგების რეგისტრაციის ისეთი სისტემა, (ჟურნალის ან ელექტრონული სახით) რომელიც დაცულია არასანქცირებული ცვლილებე-ბის შეტანისაგან, დაზიანებისა და დაკარგვისაგან.

საკ 1.2 2006 –ის მიხედვით აკრედიტებული ლაბორატო-რია ვალდებულია:

✓ დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დად-გენილი კრიტერიუმები;

✓ განაცხადოს მხოლოდ იმ გამოცდათა აკრედიტაციის შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია აკრედიტაციის სფეროთი;

✓ გადაიხადოს აკრედიტაციასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯები;

✓ დამკვეთთან დადებულ ხელშეკრულებაში მიეთითოს, რომ ლაბორატორიის აკრედიტაცია ან მისი გამოცდების ოქმები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ავტომატურად, რომ პროდუქცია ან მომსახურება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;

✓ შეწყვიტოს საქმიანობა აკრედიტაციის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

✓ აცნობოს აკრედიტაციის ცენტრს ლაბორატორიის საქმიანობის ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელიც გაავლენას მოახდენს ლაბორატორიის შესაბამისობაზე დადგენილ მოთხოვნებთან;

✓ აკრედიტაციის მოწმობის გაუქმების შემთხვევაში წერილობით აცნობოს აკრედიტაციის ცენტრს.

7. სერტიფიკაცის წესი

სერტიფიკაცია ტარდება კონკრეტული სისტემის საზღვრებში და არჩეული სქემის მიხედვით. მისი ჩატარების თანამიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სისტემის წესებს, მაგრამ სერტიფიკაციის პროცესის ძირითადი ეტაპები უცვლელია და არ არის დამოკიდებული სერტიფიკაციის სახესა და ობიექტებზე. მასში შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი ეტაპი:

1. განაცხადი სერტიფიკაციაზე;
2. დადგენილ მოთხოვნებთან სერტიფიკაციის ობიექტის შესაბამისობის შეფასება;
3. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი;
4. გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ;
5. სერტიფიცირებული ობიექტის საინსპექციო კონტროლი.

სერტიფიკაციის პროცესის განზოგადებულ სქემას აქვს მე-7 ნახაზზე ნაჩვენები სახე.



ნახ. 7. სერტიფიკაციის პროცესის განზოგადებული სქემა

საქართველოს კანონის "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" თანახმად პროდუქციის/საქონლის პარტიის შესაბამისობის შეფასების პროცედურები დგინდება ტექნიკური რეგლამენტით.

შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

- მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით;
- მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან კონკრეტული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების მიზნით მისი აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსთვის წარდგენით.

საქონლის პარტიის თავისებურებებიდან, მისი ტექნიკური სირთულისა და საფრთხის სიდიდიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგლამენტი უნდა ითვალისწინებდეს პროდუქციის ბაზარზე გატანამდე ჩასატარებელ შესაბამისობის შეფასების პროცედურათა შესაძლებელ ვარიანტებს.

პროდუქციის აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის შეფასებისას გამოიყენება პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

სერტიფიკაციაზე განაცხადის ეტაპზე ხდება განმცხადებლის მიერ სერტიფიკაციის ორგანოს არჩევა, რომელიც შეძლებს ჩაატაროს მისთვის საინტერესო ობიექტის შესაბამისობის შეფასება სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის სფეროს მიხედვით. თუ მოცემული სამუშაოს ჩატარება შეუძლია სერტიფიკაციის რამდენიმე ორგანოს, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ მათგანს. განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს სერტიფიკაციის სისტემით დადგენილი ფორმით. სერტიფიკაციის ორგანო განიხილავს მას და განმცხადებელს აცნობებს გადაწყვეტილებას (გარკვეული ფორმით), რომელშიც მითითებულია სერტიფიკაციის ყველა ძირითადი პირობა, მათ შორის სერტიფიკაციის სქემა, საგამოცდო ლაბორატორიის დასახელება (თუ სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებულია გამოცდის ჩატარება), ნორმატიული დოკუმენტების დასახელება, რომელთა შესაბამისობაზეც უნდა ჩატარდეს სერტიფიკაცია.

სერტიფიკაციის პროცედურის ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად:

- გამოცდის ოქმები (მისაღები, პერიოდული, საინსპექციო და სხვ.);
- ჰიგიენური დასკვნები (ჰიგიენური სერტიფიკატი);
- სანეპიდსადგურის სამსახურის დოკუმენტი წარმოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ;
- სახანძრო უშიშროების სერტიფიკატი;
- მაკომპლექტებელი ნაკეთობების, მასალების, ტარის მიმწოდებლის სერტიფიკატები;
- მინდვრის პასპორტი ან მიწის ნაკვეთის ნიადაგის ხარისხის სერტიფიკატი, აგროქიმიური სამსახურის მიერ გაცემული;
- მცენარეთა საკარანტინო ორგანოების დასკვნა;
- ვეტერინარული სერტიფიკატი;
- საზღვარგარეთის სერტიფიკატი;
- საზღვარგარეთის ლაბორატორიებში გამოცდის ოქმები;
- დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვ.

ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება *პროდუქციაზე უცხო ქვეყნების სერტიფიკატების აღიარება,* რომლის პროცედურა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

✓ საზღვარგარეთის სერტიფიკატის აღიარებაზე განაცხადის და მასთან დართული მასალების წარდგენა;

✓ მიღებული მასალების ანალიზი და პროდუქციის იდენტიფიკაცია;

✓ გადაწყვეტილების მიღება საზღვარგარეთის სერტიფიკატის აღიარების ან უარის თქმის შესახებ;

✓ საზღვარგარეთის სერტიფიკატის გადაფორმება ადგილობრივ სერტიფიკატზე და მისი რეგისტრაცია.

7.1. პროდუქციის შესაბამისობის შეფასება

შესაბამისობის შეფასების ეტაპი განსხვავებულია სერტიფიკაციის სხვადასხვა ობიექტებისათვის. პროდუქციის შემთხვევაში იგი შედგება ნიმუშის აღებისა და იდენტიფიკაციისაგან და მისი გამოცდისაგან. ნიმუში უნდა იყოს ისეთივე, როგორც მომხმარებლისათვის მიწოდებული პროდუქციაა. ნიმუშების აღება ხდება მზა პროდუქციიდან შემთხვევითობის პრინციპით, დადგენილი წესის შესაბამისად. შერჩეულ ნიმუშებს განაცალკევებენ ძირითადი პროდუქციისაგან, არჩევის ადგილზევე ფუთავენ, ლუქავენ ან პლომბავენ და ადგენენ აქტს. ნიმუშის შენახ-

ვის, ტრანსპორტირების და გამოსაცდელად მომზადების ყველა სტადიაზე, აგრეთვე გამოცდის პროცესში, დაცული უნდა იყოს პროდუქციაზე ნორმატიულ დოკუმენტაციაში მოყვანილი მოთხოვნები. ნიმუშების მოძრაობის ყველა ეტაპი სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარებისას რეგისტრირდება ჟურნალში, სადაც მითითებულია პროდუქციის დასახელება, დამამზადებელი, შენახვის ვადა, ნიმუშების რაოდენობა, გამოცდის შედეგები, სერტიფიკატის ნომერი და სხვ. და დასტურდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

საგამოცდო ლაბორატორიას ან სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია ამონარჩევში დამატებით ჩართოს ყველა სახის პროდუქციის (გარდა მალეფუჭდებადისა) თითო ნიმუში საკონტროლო ეგზემპლარის სახით შესანახად. მისი შენახვის ვადა უნდა შეესაბამებოდეს სერტიფიკატის მოქმედების ან პროდუქციის ვარგისობის ვადას, რომლის გასვლის შემდეგ ნიმუშები უბრუნდება განმცხადებელს.

გამოცდისათვის ნიმუშების არჩევას აწარმოებს *საგამოცდო ლაბორატორია* ან მისი დავალებით სხვა კომპეტენტური ორგანიზაცია. თუ გამოცდა ტარდება ორ ან მეტ ლაბორატორიაში, ნიმუშის აღება შეიძლება აწარმოოს სერტიფიკაციის ორგანომ.

სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება საგამოცდო ლაბორატორიებში, რომლებიც აკრედიტებულია იმ გამოცდების ჩატარებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული პროდუქციის სერტიფიკაციისას გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობაზე აკრედიტებული ლაბორატორია არ არსებობს, ან იმდენად შორსაა, რომ რთულდება ნიმუშის ტრანსპორტირება, იზრდება გამოცდის ხარჯები და ვადები, სასერტიფიკაციო გამოცდა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კომპეტენტურობაზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში კონკრეტული პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული მუშაობა აისახება *ოქმში*, რომელსაც ხელს აწერენ საგამოცდო ლაბორატორიის და სერტიფიკაციის ორგანოს უფლებამოსილი სპეციალისტები. მასში ზუსტად უნდა იყოს ნაჩვენები გამოცდის და დამოწმების შედეგები და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია: ლაბორატორიის დასახელება; მისამართი; ოქმის აღნიშვნა; დამკვეთის

გვარი და მისამართი; გამოსაცდელი ნიმუშის და საზომი საშუალებების დახასიათება და აღნიშვნა, ნიმუშის მიღების, გამოცდის ან დამოწმების ჩატარების თარიღი; ნორმატიული დოკუმენტის დასახელება და აღნიშვნა, რომლის მიხედვითაც ტარდება გამოცდები და დამოწმებები; გაზომვებისა და დაკვირვებების შედეგები; ოქმის შემდგენი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თანამდებობა; ოქმის შედგენის თარიღი.

გამოცდის ოქმს წარუდგენენ განმცხადებელს და სერტიფიკაციის ორგანოს. გამოცდის ოქმის ასლი უნდა ინახებოდეს სერტიფიკაციის მოქმედების ვადაზე არა ნაკლები დროის განმავლობაში.

პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს ეროვნული სტანდარტით სსტ 5.020:2006 -ით და ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

- სერტიფიკაციაზე განაცხადის და მასთან დართული მასალების წარდგენა სერტიფიკაციის ორგანოში;
- განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება და განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმება;
- პროდუქციის იდენტიფიკაცია და პროდუქციის ნიმუშის აღება;
- პროდუქციის ნიმუშის გამოცდა;
- მიღებული შედეგების ანალიზი და სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- სერტიფიკატის რეგისტრაცია და გაცემა;
- სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლი;
- ინფორმაცია სერტიფიკაციის შედეგებზე.

სტანდარტში მითითებულია, რომ სამამულო და იმპორტული წარმოების პროდუქციის სერტიფიკაცია ტარდება ერთი და იგივე წესით.

ცნობილია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ნიმუშზე.

ნიმუში აიღება პროდუქციაზე ნორმატული დოკუმენტების შესაბამისად. ნიმუშს იღებს სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი, განმცხადებლის თანდასწრებით და ფორმდება ნიმუშის აღების აქტი. ამავე დროს წარმოებს პროდუქციის პარტიის იდენტიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ნიშანდების (შტრიხ-კოდი, დამამზადებელი, დამზადების თარიღი,

ვარგისიანობის ვადა, ნორმატიული დოკუმენტი, აგრეთვე წარდგენილი პარტიის მოცულობა, შეფუთვა, ტარა, მასა და სხვ.) შესაბამისობის შემოწმებას სასაქონლო-სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტებში მითითებულ ინფორმაციასთან.

კვების, სოფლის მეურნეობისა და საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ პროდუქციაზე დამზადების თარიღის და ვარგისიანობის ვადის უქონლობის შემთხვევაში ნიმუშის აღება არ წარმოებს და პროდუქცია სასერტიფიკაციოდ არ მიიღება.

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიაში. გამოცდის დროს გამოიყენება პროდუქციის ნორმატიულ დაკუმენტებში მოყვანილი გამოცდის მეთოდები ან ატესტირებული მეთოდიკები. გამოცდის შედეგის მიუხედავად გამოცდის ოქმი უნდა გაეგზავნოს სერტიფიკაციის ორგანოს და განმცხადებელს გამოცდილი ნიმუშის შენახვის (ჩამოწერის, განმცხადებელთან დაბრუნების და სხვ.) პროცედურა უნდა დადგინდეს სერტიფიკაციის წესით, კვების პროდუქტის ჩამოწერა დასტურდება ჩამოწერის აქტით. საკონტროლო ნიმუშის შერჩევა, აღება და დალუქვა ხდება სერტიფიკაციის ჩამტარებელი ორგანოს მიერ და საჭიროების შემთხვევაში შესანახად გადაეცემა განმცხადებელს ნიმუშის აღების აქტის ერთ ეგზემპლართან ერთად. მეორე ეგზემპლარი ინახება სერტიფიკაციის ორგანოში.

კონკრეტული სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებულ შემთხვევაში ტარდება *პროდუქციის წარმოების მდგომარეობის ანალიზი* და *ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია.* ანალიზის დროს მოწმდება საწარმოო სისტემის შემდეგი ელემენტები:

- წარმოებაში ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა შემავალი კონტროლი;
- კონტრაქტები (ხელშეკრულებები);
- პროდუქციის იდენტიფიკაცია;
- კონტროლი და გამოცდების ჩატარება;
- საკონტროლო, გამზომი და საგამოცდო დანადგარების მართვა;
- მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი მოქმედებები;
- დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, შენახვა, შეფუთვა, ნიშანდება, კონსერვაცია, მიწოდება;
- ხარისხის შესახებ მონაცემების რეგისტრაცია.

7.2. მომსახურების შესაბამისობის შეფასება

მომსახურების სერტიფიკაციისას უნდა შემოწმდეს მომსახურების მახასიათებლები (მაჩვენებლები) და გამოყენებულ იქნეს გამოცდის (შემოწმების) მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა: ა) ჩატარდეს მომსახურების იდენტიფიკაცია; ბ) დადასტურდეს სასერტიფიკაციო მომსახურების შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

მომსახურების შესაბამისობის შეფასება დამოკიდებულია მის სახეზე. არამატერიალური ხასიათის მომსახურების შეფასება (მაგალითად, მოძრავი და უძრავი ქონების შეფასება) ხდება საექსპერტო ან სოციოლოგიური მეთოდით. მატერიალური მომსახურების შემოწმება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და რემონტი) ეყრდნობა მომსახურების შედეგების გამოცდას, რაც გათვალისწინებულია მომსახურების სერტიფიკაციის სქემებით.

მომსახურების შედეგის გამოცდა ხდება დადგენილი წესით აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიებში ან განმცხადებლის ბაზაზე მისივე საგამოცდო და ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოყენებით სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტების მიერ. აღჭურვილობა დამოწმებული და დაკალიბრებული უნდა იყოს. როდესაც ტარდება სარემონტო მომსახურების სერტიფიკაცია (მაგალითად, ავტომობილი ან საკერავი მანქანა), გამოცდის დროს ხდება გარემონტებული ნაკეთობების არჩევითი შემოწმება. თუ მომსახურების სახე ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს, მაშინ რემონტის ან მომსახურების შემდეგ უნდა შეფასდეს ნაკეთობის უსაფრთხოების მაჩვენებლები. მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციისას ძირითადად ხდება ფუნქციური მაჩვენებლების შეფასება. შესამოწმებელი ნაკეთობების რაოდენობას და მათი არჩევის წესს განსაზღვრავს სერტიფიკაციის ორგანო სერტიფიკაციის სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

შემოწმების შედეგების მიხედვით ფორმდება ოქმი, რომელიც ეგზავნება სერტიფიკაციის ორგანოს, ასლი კი განმცხადებელს.

მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი დადგენილია საქართველოს ეროვნული სტანდარტით სსტ 5.010:2006, რომლის თანახმად მომსახურების სერტიფიცირება ითვალისწინებს:

- მომსახურების შემსრულებლის ოსტატობის შეფასებას (მოწმდება პერსონალის პროფესიონალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა, მომსახურების შემსრულებლის კვალიფიკაცია, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და მომსახურებაზე ტექნიკური დოკუმენტების ცოდნა, წარმოდგენილი მომსახურების სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მომსახურების შესრულების სიზუსტე);
- მომსახურების გაწევის პროცესის შეფასებას (მოწმდება: აუცილებელი ნორმატიული და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის არსებობა, გამოსაყენებელი ტექნოლოგიური მოწყობილობების, ინსტრუმენტების, გამზომი და საკონტროლო საშუალებების არსებობა, აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, უსაფრთხოების კონტროლის სისტემის და მომსახურების ხარისხის შეფასების პროცესების არსებობა, კვალიფიცირებული პერსონალის არსებობა, მომხმარებლის უზრუნველყოფა მომსახურების პირობებით, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვა);
- ხარისხის სისტემის სერტიფიკაციას (იხ. შემდგომ);
- მომსახურების შედეგების შერჩევით შემოწმებას (გამოცდას).

ზოგადად, მომსახურების სერტიფიცირების ეტაპები მსგავსია პროდუქციის სერტიფიცირების ეტაპებისა (განაცხადის წარდგენა და ა.შ.)

7.3. პერსონალის შესაბამისობის შეფასება

პერსონალის შესაბამისობის სერტიფიკაციას აქვს გარკვეული თავისებურებები. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ამ სახის სერტიფიკაცია ტარდება მომსახურების სერტიფიკაციის 1-ლი სქემით.

სერტიფიკაციის ორგანოში განაცხადის შეტანის შემდეგ სპეციალისტი ავსებს დოკუმენტების კომპლექტს, რომლებიც საჭიროა სერტიფიკაციის ორგანოსათვის განმცხადებლის სერტიფიცირების შესაძლებლობის წინასწარი შეფასებისათვის. განმცხადებელი უპირველეს ყოვლისა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ კრიტერიუმებს, როგორიცაა: საერთო და პროფესიული განათლება; აკრედიტაციის განცხადებულ სფეროში მუშაობის გამოცდილება; პროფესიული ეთიკა და სხვ.

გარდა ამისა, მოეთხოვება განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის სფეროში ბოლო ხანს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტების წინასწარი ექსპერტიზის შედეგად დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სერტიფიკაციის გავლის მსურველთან უნდა დაიდოს ხელშეკრულება. მასში მითითებულია სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვადები და თანხის გადახდის პირობები. გამოცდა ტარდება სპეციალურ საგამოცდო ცენტრებში. გამოცდა უნდა შედგებოდეს თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან. გამოცდის თეორიული ნაწილი მაგალითად, გერმანიაში სპეციალისტების არამრღვევი კონტროლის სფეროში სერტიფიკაციისას DIN EN 473 -ის მიხედვით, ტარდება წერითი ფორმით. პრაქტიკული გამოცდის ორგანიზება ხდება იმგვარად, რომ შეიძლებოდეს იმ სპეციალისტის საქმიანობის იმიტირება, რომელსაც უტარებენ სერტიფიკაციას. გამოცდის ორივე ნაწილის მსვლელობა და საგამოცდო კომისიის შეფასება ფიქსირდება ოქმში. გამოცდის შედეგებს განმცხადებელს აცნობენ სერტიფიკაციის ორგანოში მსჯელობის და გამოცდის ოქმის დამტკიცების შემდეგ. მსჯელობა მიმდინარეობს ფარულად.

მაგალითად, დავასახელოთ მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალი.

- სერტიფიკაციის ორგანოს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური, კომპეტენტური პერსონალი და აკმაყოფილებდეს პერსონალის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.
- პერსონალს უნდა გააჩნდეს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც განსაზღვრავს მათ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.
- სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალი ვალდებულია დაიცვას სერტიფიცირების პროცედურების წესები, მათ შორის წესები, რომელიც ეხება კონფიდენციალობას.
- სერტიფიკაციის ორგანოს პერსონალს, რომლებიც მონაწილეობენ ნიმუშის აღებაში და სერტიფიცირების დროს საინსპექციო კონტროლის სამუშაოებში, ატესტირებული უნდა იყვნენ აკრედიტაციის ცენტრის მიერ, როგორც ექსპერტები წარდგენილი აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად.

სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი თავის მხრივ პასუხისმგებელია:

✓ მოქმედების განმსაზღვრელი პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაზე;

✓ სერტიფიკატის გაცემის გადაწყვეტილებაზე, მოქმედების შეჩერებასა და გაუქმებაზე;

✓ გამოცდების ჩატარებაზე, კონტროლზე, შეფასებასა და სერტიფიკაციაზე ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი და თანამშრომლები თავისუფლები უნდა იყვნენ კომერციული, ფინანსური ან ნებისმიერი სხვა სახის ზემოქმედებისაგან.

7.4. ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია

ხარისხის სისტემის შესაბამისობის დადასტურება ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან ითვალისწინებს შესამოწმებელი ორგანიზაციის მზადყოფნის წინასწარ შეფასებას და ხარისხის სისტემის შეფასებას უშუალოდ ადგილზე.

წინასწარი შეფასება ნიშნავს საწარმოს მიერ სერტიფიკაციის შესახებ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზს, რომელშიც აღწერილია ხარისხის სისტემა. საწყისი დოკუმენტების კომპლექტში შედის:

- დეკლარაცია-განცხადება;
- ორგანიზაცია-განმცხადებლის პოლიტიკა ხარისხის სფეროში;
- ხარისხის სახელმძღვანელო;
- ხარისხის სისტემის დოკუმენტების ჩამონათვალი;
- ორგანიზაცია-განმცხადებლის და მისი ხარისხის სამსახურის სტრუქტურული სქემები;
- შევსებული საწყისი მონაცემები წარმოების მდგომარეობის წინასწარი შეფასებისათვის.

სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს შესამოწმებელ ორგანიზაციას:

- საწარმოს სტანდარტი (ან სხვა დოკუმენტი), რომლითაც რეგლამენტირებულია განმცხადებელთან დოკუმენტაციის მართვის პროცესები;
- საწარმოს სტანდარტი (ან სხვა დოკუმენტი), რომლითაც რეგლამენტირებულია განმცხადებლის მიერ ხარისხის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარება;
- დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროდუქციის დამზადების ან სამუშაოების ჩატარების პროცედურას და სხვ.

აუცილებლობის შემთხვევაში განმცხადებელთან შეთანხმებით სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია მიავლინოს თავისი წარმომადგენელი საწარმოს ხარისხის სისტემის ელემენტების

წინასწარ გასაცნობად. კომისია აანალიზებს განმცხადებლისაგან მიღებულ საწყის დოკუმენტებს და მასალებს იმ მიზნით, რომ წინასწარ შეაფასოს მისი მზადყოფნა ხარისხის სისტემის სერტიფიკაციისათვის.

განმცხადებლისაგან მიღებული მონაცემების ანალიზთან ერთად კომისიას შეუძლია ანალიზისათვის შეაგროვოს დამატებითი მონაცემები იმ პროდუქციის ხარისხის შესახებ, რომელზეც ვრცელდება ხარისხის სისტემა. ამისათვის მას შეუძლია მიმართოს დამოუკიდებელ წყაროებს — სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს, სამომხმარებლო საზოგადოებებს, საგარანტიო სახელოსნოებს და სხვ. ხარისხის სისტემის წინასწარი შეფასების ეტაპი სრულდება ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის მეორე ეტაპის ჩატარების შესახებ წერილობითი დასკვნის მომზადებით.

ხარისხის სისტემის წინასწარი შეფასების შედეგების შესახებ დასკვნას ხელს აწერს მთავარი ექსპერტი და ექსპერტები, რომელთაც ჩაატარეს ექსპერტიზა, ამტკიცებს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელობა. დადებითი დასკვნის შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო განმცხადებელს უგზავნის ხარისხის სისტემის წინასწარი შეფასების შედეგების მიხედვით დასკვნას და ორგანიზაციაში ხარისხის სისტემის შემოწმებასა და შეფასებაზე ხელშეკრულების პროექტს. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ჩატარებული სამუშაოების მოცულობა და ვადები, მხარეების პასუხისმგებლობა, აგრეთვე ხარისხის სისტემის შემოწმებისა და შეფასების სამუშაოების ღირებულება.

საწარმოში ხარისხის სისტემის შეფასების ეტაპის დასაწყისია მომზადება სერტიფიკაციის ორგანოში. ხარისხის სისტემის შესამოწმებლად და შესაფასებლად მომზადებისათვის ტარდება შემდეგი სამუშაოები: შემოწმების პროგრამის შედგენა; შემოწმების პროგრამის შესაბამისად კომისიის წევრებს შორის მოვალეობების განაწილება; მუშა დოკუმენტების მომზადება; შემოწმების პროგრამის შეთანხმება შესამოწმებელ ორგანიზაციასთან.

შემოწმების პროგრამას ამუშავებს მთავარი ექსპერტი. პროგრამას უნდა იცნობდნენ კომისიაში შემავალი ექსპერტები და კონსულტანტები და შესამოწმებელი ორგანიზაცია. განმცხადებლის უკმაყოფილება პროგრამის რომელიმე პუნქტთან დაკავშირებით უნდა ეცნობოს მთავარ ექსპერტს. უთანხმოება მთავარ ექსპერტსა და განმცხადებლის წარმომადგენელს შორის,

რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, უნდა მოგვარდეს შემოწმების დაწყებამდე. შემოწმების პროგრამის კონკრეტული დეტალები განმცხადებელს უნდა ეცნობოს მხოლოდ შემოწმების ჩატარების პროცესში, თუ მათი წინასწარი გაცხადება ხელს შეუშლის ობიექტური ინფორმაციის შეგროვებას.

შემოწმების პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ დანაყოფებს:

- ორგანიზაცია-განმცხადებლის დასახელება, შემოწმების ჩატარების ადგილი;
- შემოწმების მიზანი და სფერო;
- შემოწმების ჩატარების დრო;
- კომისიის შემადგენლობა;
- დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც ტარდება შემოწმება (სტანდარტი, რომლის შესაბამისობაზეც მოწმდება ხარისხის სისტემა, შესამოწმებელი ორგანიზაციის ხარისხის სახელმძღვანელო და სხვ.);
- შემოწმების ობიექტები (საქმიანობა ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში, საწარმოო სისტემა, პროდუქციის ხარისხი);
- ორგანიზაციის შესამოწმებელი ქვედანაყოფების იდენტიფიკაცია;
- ექსპერტებისა და შესამოწმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმაგრება შემოწმების ობიექტებზე;
- შემოწმების ძირითადი ღონისძიებები და მათი ჩატარების ვადები;
- მოთხოვნები კონფიდენციალურობისადმი;
- შემოწმების ენის განსაზღვრა;
- დაინტერესებულ მხარეთა მისამართები, რომელთაც უნდა გაეგზავნოს აქტი.

შემოწმების პროგრამა უნდა იყოს მოქნილი და საშუალებას იძლეოდეს შეიცვალოს ხარისხის სისტემის შესამოწმებელი ელემენტების პრიორიტეტულობა შემოწმების პროცესში მიღებული ინფორმაციის შესაბამისად. მას ამტკიცებს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელობა და ათანხმებს შესამოწმებელ ორგანიზაციასთან.

შემოწმების ჩატარებისას საექსპერტო კომისიის წევრებს შორის ნაწილდება მოვალეობები საწარმოს კონკრეტული ქვედანაყოფის და ხარისხის სისტემის ელემენტების შემოწმებაზე.

მათ ანაწილებს მთავარი ექსპერტი (ზოგ ქვეყანაში მას უწოდებენ სისტემურ ექსპერტს).

მუშაობის პროცესში ექსპერტები იყენებენ ე.წ. მუშა დოკუმენტებს. მათ რიცხვში შედის საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი ხარისხის სისტემის ელემენტების შესაფასებლად (ნახ.8), ფორმები დამხმარე მონაცემების დოკუმენტირებისათვის, ექსპერტების დამადასტურებელი დასკვნები და სხვ.

ხარისხის შიდა შემოწმება		
კითხვა	შენიშვნა შემოწმებისას	შედეგი
1. სრულდება თუ არა ხარისხის შიდა შემოწმება, როგორც დაგეგმილი იყო		
2. დამოუკიდებელია თუ არა შემოწმების ჩამტარებელი პერსონალი შესამოწმებელი ფუნქციებისაგან		
3. შედგენილია თუ არა შემოწმების თანამიმდევრობა შესამოწმებელი საქმიანობის სტატუსის და მნიშვნელოვნობის მიხედვით		
4. მაკორექტირებელი ქმედებები დროულია, აღწერილია და შეფასებული ეფექტურობის მიხედვით		

ნახ.8. საკონტროლო კითხვების ჩამონათვალის სავარაუდო ფორმა

სერტიფიკაციის ორგანო უზრუნველყოფს იმ მუშა დოკუმენტების საიმედო დაცვას, რომელიც შესამოწმებელი ორგანიზაციის ან თვით სერტიფიკაციის ორგანოს საკუთრებაა. შემოწმების დასრულების და ანგარიშის დაწერის შემდეგ მუშა დოკუმენტებს აბარებენ მთავარ ექსპერტს, რომელიც თავის მხრივ მათ აბარებს შესამოწმებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირს ან შესამოწმებელი ორგანიზაციის თანხმობით ანადგურებს მათ. მუშა დოკუმენტები განიხილება როგორც დამხმარე და არ უნდა ზღუდავდეს ექსპერტების ინიციატივას.

ხარისხის სისტემის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცედურებს: წინასწარი თათბირი, შესამოწმებელი ორგანიზაციის გამოკვლევა, შემოწმების აქტის შედგენა და დასკვნითი თათბირი.

წინასწარ თათბირზე იმყოფებიან კომისიის წევრები, შესამოწმებელი ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელი, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანე-

ლები და საწარმოს წამყვანი სპეციალისტები ხარისხის სფეროში. წინასწარი თათბირის მიზანია:

- კომისიის წევრების წარდგენა შესამოწმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის;
- მოკლე შეტყობინება შემოწმების მიზნების, სფეროს და პროგრამის შესახებ;
- შემოწმებისას გამოყენებული მეთოდებისა და პროცედურების მოკლე აღწერა;
- კომისიის წევრებსა და შესამოწმებელი ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის ურთიერთობის ოფიციალური პროცედურების დადგენა;
- შემოწმების პროგრამის დაუზუსტებელი დეტალების განხილვა და დაზუსტება (თუ ასეთი არსებობს);
- დასკვნითი თათბირის თარიღის დაზუსტება და, თუ საჭიროა, საშუალედო თათბირების თარიღების დანიშვნა.

შესამოწმებელი ორგანიზაციის გამოკვლევა ხდება ფაქტიური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის და შემოწმების მსვლელობისას დაკვირვებების რეგისტრაციის გზით. ფაქტიური მონაცემების შეგროვება ხდება პერსონალის გამოკითხვის, გამოყენებული დოკუმენტების, წარმოების პროცესის, ფუნქციური ქვედანაყოფებისა და პერსონალის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების შესწავლითა და შეფასებით.

თუ პროდუქციას (მომსახურებას) წაეყენება შესასრულებლად აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც დადგენილია სახელმწიფო სტანდარტებით ან სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, მაშინ ხარისხის სისტემის და მისი ცალკეული ელემენტების შემოწმებისა და შეფასებისას (გამოცდის სისტემის ჩათვლით) უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის უნარი უზრუნველყოს ეს მოთხოვნები. ამ მიზნით ტარდება ანალიზი ისეთი დოკუმენტაციისა, როგორიცაა: საკონტროლო, ტექნოლოგიური, ნორმატიული, მეთოდური (სამუშაოს ჩატარების მეთოდიკა, ინსტრუქციები და სხვ.), სამუშაო და ანალიზური (ოქმი, გამოცდის ანგარიში, კონტროლის გეგმა, სამუშაო ჟურნალი, დაკვირვების რეგისტრაციის ფორმა და სხვ.). აგრეთვე ხდება ტექნოლოგიური აღჭურვილობის, პროცესებისა და პროდუქციის პარამეტრების, საზომი საშუალებების შესაბამისობის და მდგომარეობის, პერსონალის შესაბამისობის და სხვ. ანალიზი.

დაკვირვებები უნდა იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული კონკრეტული ობიექტური მონაცემებით. ფიქსირებული უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ არაშესაბამისობაზე.

შემოწმების ობიექტის გამოკვლევის შემდეგ კომისიის წევრები მთავარი ექსპერტის ხელმძღვანელობით განიხილავენ თავიანთი დაკვირვებების შედეგებს იმ მიზნით, რომ გადაწყვიტონ, რომელი მათგანი უნდა განიხილონ როგორც არაშესაბამისობა. დაკვირვებები, რომლებიც მოწმობენ არაშესაბამისობას და დადასტურებულია ობიექტური მონაცემებით, უნდა წარედგინოს შესამოწმებელ ორგანიზაციას და დასაბუთდეს.

კომისიის დაკვირვებები, როგორც წესი, დიფერენცირდება, მაგალითად, კატეგორიებად: *მნიშვნელოვანი* (კატეგორია 1), როდესაც ხარისხის სისტემის ელემენტებისადმი მოთხოვნები არ არსებობს, არ გამოიყენება ან სრულიად დარღვეულია; *უმნიშვნელო* (კატეგორია 2), როდესაც ხარისხის სისტემის ელემენტებში დაუდევრობების რაოდენობა მცირეა.

სტანდარტის მოთხოვნისაგან გადახრა დაწვრილებით უნდა იყოს განხილული შემოწმების ჩამტარებელი ექსპერტების მიერ, ვიდრე მას დაახასიათებენ როგორც არაშესაბამისობას და მიაკუთვნებენ ამა თუ იმ კატეგორიას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მთავარი ექსპერტი. რეგისტრირებულ არაშესაბამისობებს ოფიციალურად წარუდგენენ შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. მთავარი ექსპერტი ყოველი არაშესაბამისობის შესახებ იძლევა სათანადო განმარტებებს. თითოეული არაშესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს ობიექტური მტკიცებულებით. შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს არაშესაბამისობის სარეგისტრაციო ბლანკს, რითაც ადასტურებს მის მიღებას.

ხარისხის სისტემის მოწონების (არ მოწონების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები განისაზღვრება სერტიფიკაციის სისტემის წესებით. ძირითადად, გადაწყვეტილება ხარისხის სისტემის ISO 9000 სერიის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მიიღება მნიშვნელოვანი არაშესაბამისობის არ არსებობის ან არა უმეტეს 10 უმნიშვნელო არაშესაბამისობის არსებობისას. უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება ერთი მნიშვნელოვანი არაშესაბამისობის ან 10-ზე მეტი უმნიშვნელო არაშესაბამისობის შემთხვევაში.

ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის ძირითადი ეტაპები ნაჩვენებია მე-9 ნახაზზე.

წინასასერტიფიკაციო ეტაპი

- განაცხადი სერტიფიკაციაზე სერტიფიკაციის ორგანოში;
- განაცხადის რეგისტრაცია სერტიფიკაციის ორგანოში;
- საწყისი დოკუმენტების მომზადება განმცხადებლის მიერ სერტიფიკაციის ორგანოს ნიმუშების მიხედვით;
- საწყისი დოკუმენტების ანალიზი სერტიფიკაციის ორგანოში;
- გადაწყვეტილება სერტიფიკაციაზე შეკვეთის მიღების შესახებ;
- ხელშეკრულების გაფორმება ხარისხის სისტემის წინასწარ შეფასებაზე სერტიფიკაციის ორგანოსა და განმცხადებელს შორის;
- სერტიფიკაციის კომისიის ფორმირება.

⇩

ხარისხის სისტემის წინასწარი შეფასება

- ხარისხის სისტემის ანალიზი საწყისი დოკუმენტების მიხედვით;
- დასკვნის შედგენა;
- შემდგომი სერტიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ხელშეკრულების გაფორმება საწარმო–განმცხადებელში ხარისხის სისტემის შეფასებაზე.

⇩

ხარისხის სისტემის შემოწმება და შეფასება საწარმოში

- შემოწმების პროგრამის დამუშავება;
- შემოწმების ჩატარება;
- შემოწმების აქტის შედგენა;
- შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნითი თათბირი;
- გადაწყვეტილების მიღება სერტიფიკაციისათვის ხარისხის სისტემის მზადყოფნის შესახებ;
- სერტიფიკაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების რეგისტრაცია ტექნიკურ ცენტრში;
- შესაბამისობის სერტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის გამოყენების შესახებ ლიცენზიის გაცემა ან უარის თქმა;
- ხელშეკრულება საინსპექციო კონტროლზე.

ნახ.9. ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის ძირითადი ეტაპები

შემოწმების შედეგები ფორმდება *აქტით*, რომელშიც ასახულია კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები. კომისია აქტში მიუთითებს, შეესაბამება თუ არა შემოწმებული ხარისხის სისტემა განცხადებულ სტანდარტს, იძლევა დასკვნას შესამოწმებელ ორგანიზაციაში გამოცდის სისტემის არსებობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ყველა მახასიათებლის კონტროლს, მიუთითებს უმნიშვნელო არაშესაბამისობის თავიდან აცილების (გამოსწორების) ვადებს, თუ ასეთი არსებობს. აქტს ხელს აწერენ კომისიის წევრები, მთავარი ექსპერტი და შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. აქტს თან ერთვის შემოწმების პროგრამა და ინფორმაცია არაშესაბამისობის შესახებ. აქტს ადგენენ სამ ეგზემპლარად: შესამოწმებელი ორგანიზაციისათვის, სერტიფიკაციის ორგანოსათვის და ხარისხის სისტემის რეგისტრის ტექნიკური ცენტრისათვის.

დასკვნით თათბირზე მთავარი ექსპერტი აცნობს საწარმოს ხელმძღვანელობას, მთავარ და წამყვან სპეციალისტებს კომისიის შენიშვნებს მათი მნიშვნელოვნობის მიხედვით, კომისიის დასკვნას განცხადებული სტანდარტის მოთხოვნებთან შესამოწმებელი ხარისხის სისტემის შესაბამისობისა თუ არაშესაბამისობის შესახებ. აგრეთვე აცნობს მათ კომისიის რეკომენდაციებს სერტიფიკაციის ორგანოსადმი ხარისხის სისტემისათვის შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის ან უარის თქმის შესახებ.

7.5. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ

შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზის ეტაპი ითვალისწინებს გამოცდებისა და შემოწმებების შედეგების განხილვას სერტიფიკაციის ორგანოში.

პროდუქციის სერტიფიკაციისას განმცხადებელი სერტიფიკაციის ორგანოში წარადგენს განაცხადზე გადაწყვეტილებაში მითითებულ დოკუმენტებს და საგამოცდო ლაბორატორიაში პროდუქციის ნიმუშების გამოცდის ოქმს. სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტები ამოწმებენ ოქმში ასახული გამოცდის შედეგების შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. ამის შემდგომ მიიღებენ გადაწყვეტილებას შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ ან ჩაატარებენ დამატებით გამოც-

დებს. ანალოგიურია მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოს ქმედებები მომსახურების შედეგის შესაბამისობის შემოწმებისას.

პერსონალის სერტიფიკაციისას საგამოცდო კომისიის ოქმი უნდა გადაეცეს სერტიფიკაციის კომისიას. იგი შედგება ორგანოს ხელმძღვანელობისა და ექსპერტებისაგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გამოცდებში. კომისიის დადებითი გადაწყვეტილება (გამოცდის ოქმის დამტკიცების შემდეგ) წარმოადგენს სერტიფიკატის გაცემის საფუძველს.

გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ ითვალისწინებს განმცხადებლისათვის სერტიფიკატის გადაცემას ან უარის თქმას. სერტიფიკაციის სქემით გათვალისწინებული გამოცდის დადებითი შედეგის და წარმოდგენილი დოკუმენტების ექსპერტიზის საფუძველზე სერტიფიკაციის ორგანო აფორმებს შესაბამისობის სერტიფიკატს, ატარებს მას რეგისტრაციაში სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის რეესტრში და გასცემს ლიცენზიას შესაბამისობის ნიშნის გამოყენებაზე. სასერტიფიკაციო გამოცდების უარყოფითი შედეგების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო გასცემს დასკვნას, რომელშიც მითითებულია სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის მიზეზი.

სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება სერტიფიკაციის სისტემის წესებით. სერიული წარმოების პროდუქციაზე, მომსახურებაზე და საწარმოს ხარისხის სისტემაზე იგი არ აღემატება სამ წელს, ხოლო პროდუქციის პარტიაზე — პროდუქციის ვარგისობის ან შენახვის ვადას, პერსონალზე — ხუთ წელს.

თუ მომსახურებაზე ტექნიკურ დოკუმენტაციაში ან მომსახურების შესრულების ტექნოლოგიურ პროცესებში მოხდა ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სერტიფიკაციისას დადასტურებულ მომსახურების შესაბამისობაზე, განმცხადებელმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას დამატებითი შემოწმების (გამოცდების) ან არაგეგმიური საინსპექციო კონტროლის ჩატარების შესახებ.

სერტიფიკატის ნიმუში მოყვანილია მე-10 ნახაზზე.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სერტიფიკატის ასლის გამოყენება. ასლი დასტურდება სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის ხელმოწერით და ბეჭდით ან ნოტარიუსის მიერ. ბლანკის მეორე მხარეს კეთდება წარწერა „ასლი“.



შესაბამისობის შეფასება

ლოგო

შპს „ნორმადარი"
იურიდიული პირის დასახელება

მთის ქ. 222, ტ. 776655
ორგანოს რეკვიზიტები, მისამართი, ტელეფონები

GEO -268-00000000-0.0-0000 01.012006 დან 01.01.2009 მდე
საფარველის აპრობირების ცხრილის მერ აკREDიტაციის ატესტატის სარეგისტრაციო ნომერი, მოქმედების პერიოდი

სერტიფიკატის ბლანკის ნომერი 000000

შესაბამისობის სერტიფიკატი

ძალაშია 01.01.2007 წ-დან 01.01.2009 წ-მდე

წინამდებარე სერტიფიკატი ადასტურებს, რომ სათანადოდ იდენტიფიცირებული პროდუქცია

მინა მრავალფენიანი ტყვიაგაუმტარი B-3 კლასის, ჯამური სისქე 43 მმ

სერიული წარმოება *სგკ 26 12 13*
სგს ნნ 7008 00 890

დამამზადებელი *შ.პ.ს. „AAA" საბერთალოს 111, 380094, თბილისი საქართველო*

შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების
გოსტ რ 51136-98 პუნქტი 7.8
მოთხოვნებს

განმცხადებელი *შ.პ.ს. „AAA" საბერთალოს 111, 380094, თბილისი საქართველო*

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი
კომისიის ოქმი 1 00.00.00-00 29.05.2006;
შპს საკვლევრო-კონსულტაციური მიაკარი სამშენებლოს ბალისტიკური სრულიადი გამოცდის ეკსპერტის ცნობა 1 00-00-00

დამატებითი ინფორმაცია *მინა მრავალფენიანი ტყვიაგაუმტარი B-3 კლასის შედგება 10+10+6+6+5=37 მმ სისქის მინის ფირფიტებისა და 6 მმ სისქის პოლიმერისაგან.*

ორგანოს ხელმძღვანელი
ინიციალი, გვარი ხელმოწერა

მაკასერტი
ინიციალი, გვარი ხელმოწერა

რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში *№ 00.00.00-00*
30. 12. 2006

ნახ.10. შესაბამისობის სერტიფიკატის ნიმუში

სერტიფიკაციის ჩატარებისას გამოყენებული ძირითადი დოკუმენტების ფორმები მოყვანილია მოცემული სახელმძღვანელოსათვის შექმნილი პრაქტიკული მეცადინეობების რეესტრში (ავტ.).

7.6. შესაბამისობის დეკლარაცია

საქართველოს კანონის "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" მიხედვით მწარმოებელი ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე გატანამდე შეადგინოს და ხელი მოაწეროს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციას.

შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის სახელი და მისამართი;
- პროდუქციის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, ტიპის ან მოდელის ნომერი, პარტია და რაოდენობა);
- გამოყენებული სტანდარტის ან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები და საეტიკეტო მონაცემები;
- დეკლარაციის შედგენის თარიღი;
- უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;
- განაცხადი, რომ მწარმოებელი კისრულობს პასუხისმგებლობას შესაბამისობაზე.

ტექნიკური რეგლამენტი შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებითი ინფორმაციის შეტანას შესაბამისობის დეკლარაციაში ან მის სპეციფიკურ ფორმას და ქართულ ენაზე უნდა იყოს შედგენილი.

შესაბამისობის დეკლარაცია მოთხოვნისამებრ უნდა წარედგინოს ბაზრის ზედამხედველ ორგანოს. დეკლარაცია უნდა ერთვოდეს პროდუქციას, თუ ამას ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტი. მწარმოებელი ვალდებულია შეინახოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქციის წარმოებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, თუ ტექნიკურ რეგლამენტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

8. სერტიფიკაციის ექსპერტები

ექსპერტი არის დადგენილი წესით ატესტირებული სპეციალისტი, რომელმაც ობიექტურად და კომპეტენტურად უნდა ჩაატაროს სერტიფიკაციის სამუშაოები.

ექსპერტი უნდა იყოს მრეწველობის, მომსახურების სფეროს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციების სპეციალისტი. იგი უნდა აღიარებდეს სერტიფიკაციის ექსპერტის ღირსებისა და

ეთიკის კოდექსს, რომლის თანახმად იგი *ვალდებულია:* დაიცვას სახელმწიფო კანონმდებლობა და ქვეყნის ინტერესები; იყოს ობიექტური, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, არ მოექცეს ზეგავლენის ქვეშ; იზრუნოს თავისი პროფესიული დონის ამაღლებაზე, იყოს კომპეტენტური და კომუნიკაბელური.

ექსპერტს პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციის განხრით უნდა *შეეძლოს:* განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ანალიზის ჩატარება და მათზე გადაწყვეტილების მიღება; პროდუქციის იდენტიფიცირება; ნიმუშების აღება გამოცდებისათვის; გამოცდების შედეგების ანალიზის ჩატარება; პროდუქციის ხარისხის სტაბილურობის შეფასება; შესაბამისობის სერტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის გამოყენებაზე ნებართვის გაფორმება; სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლის ორგანიზაცია და ჩატარება;

ექსპერტი *ვალდებულია:* უზრუნველყოს თავის საქმიანობაში შედეგების ობიექტურობა და უტყუარობა; დაიცვას ეთიკური ნორმები, იყოს კეთილმოსურნე და გაწონასწორებული; უზრუნველყოს შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; წინ აღუდგეს მასზე ზეწოლის ცდებს.

ექსპერტის ატესტაცია ხორციელდება კომპეტენტურ ორგანოსთან არსებული საგამოცდო-საატესტაციო კომისიის მიერ. ატესტაცია წარმოადგენს მისი უფლებების ოფიციალურ აღიარებას ჩაატაროს სერტიფიკაციის სფეროში სამუშაოები საქმიანობის არჩეული მიმართულების შესაბამისად. სპეციალისტები, რომლებიც ატესტირებულნი არიან სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტებად ტარდებიან რეგისტრაციაში სახელმწიფო რეესტრში. ექსპერტის წოდება შეიძლება ჩამოერთვას მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

9. სერტიფიკაციის სისტემის რეესტრი

სერტიფიკაციის სისტემის რეესტრი - სააღრიცხვო დოკუმენტი სერტიფიკაციის სისტემის, პროდუქციის, მომსახურების, პერსონალის სერტიფიკაციის დოკუმენტების და სხვ. რეგისტრაციისათვის.

რეგისტრაცია - სერტიფიკაციის სფეროში სერტიფიკაციის ობიექტების, სამუშაოთა მონაწილეების დოკუმენტების შეტანა

სერტიფიკაციის სისტემის რეესტრში მათი აღრიცხვისა და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

რეესტრი შესაძლოა შეიცავდეს შემდეგ განყოფილებებს:

სერტიფიკაციის სისტემები პროდუქციასა და მომსახურებაზე, სერტიფიცირებული პროდუქცია, მომსახურება, ხარისხის სისტემები, პერსონალი, აკრედიტებული ექსპერტები, დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ პროდუქციისა და მომსახურების სახეობების სერტიფიკაციის წესებს, აღიარებული საზღვარგარეთის ქვეყნების სერტიფიკაციის სისტემები.

ზოგადად, სერტიფიკაციის რეესტრის სარეგისტრაციო ნომრებს აქვს შემდეგი სტრუქტურა (ნახ.11):



ნახ.11. სერტიფიკაციის სისტემის რეესტრის სარეგისტრაციო ნომრების სტრუქტურა

მაგალითად, სერტიფიკატის ნომერი РОСС NL ME28 B 08389 ნიშნავს, რომ რეგისტრი ეკუთვნის რუსეთის სტანდარტიზაციის სახელმწიფო ორგანოს (РОСС), სერტიფიცირებული პროდუქცია სერიულია (B), კერძოდ ესაა ფირმა „ფილიპსის" ელექტრო საპარსი (08389), დამზადებული ნიდერლანდში (NL) და სერტიფიცირებულია სერტიფიკაციის ორგანოს „МЕНТЕСТ"-ის მიერ (ME28).

რეესტრის რეგისტრაციის ჟურნალები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი უცხო პირთათვის. იგი წარმოადგენს საკონტროლო-საალრიცხვო ელემენტს და სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარების ოფიციალურ ინფორმაციის წყაროს. საინფორმაციო ბაზასთან დაშვება ხორციელდება კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად. რეესტრის წარმოებას ახორციელებენ კვა-

ლიფიციური სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მისი წარმოების სისწორეზე. დოკუმენტებს იურიდიული ძალა ენიჭებათ მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. რეესტრის წარმოება ხდება დოკუმენტური და (ან) ელექტრონული სახით.

10. შესაბამისობის ნიშანი

შესაბამისობის ნიშანი მიუთითებს, შეესაბამება თუ არა გარკვეული სახის პროდუქცია ამა თუ იმ ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტს, სერტიფიკაციის ორგანოს მოთხოვნებს და ა.შ.

შესაბამისობის ნიშანი დადგენილი წესით რეგისტრირებული ნიშანია, რომლითაც სერტიფიკაციის წესების შესაბამისად ხდება პროდუქციის ნიშანდება იმის დამადასტურებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება კონკრეტული სტანდარტების ან სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ნიშნები არსებობს ეროვნული, საერთაშორისო, დარგობრივი და აგრეთვე საქონლის გარკვეული ჯგუფისათვის გამიზნული. მათი გამოყენების რეგულირება ხდება სტანდარტიზაციის ორგანოების სპეციალური კანონების მიხედვით და შესაძლებელია პროდუქციაზე შესაბამისობის სერტიფიკატის მიღების შემდეგ.

შესაბამისობის ეროვნული ნიშანი – ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.



ნახ. 12

როდესაც პროდუქცია შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებში მოცემულ მოთხოვნებს, დამამზადებელი ახდენს მის ნიშანდებას (მარკირებას) მე-12 ნახაზზე ნაჩვენები სპეციალური ნიშნით CE – (Communautes Europeennes). ამ ნიშნის გამოყენება განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნებით:

– ეროვნული ნიშნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ამ ნიშანთან ერთად თუ ისინი (ეროვნული ნიშნები) არ აღნიშნავენ უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას;

– CE ნიშანი არ გულისხმობს შესაბამისობის შეფასების კონკრეტულ პროცედურას, თუმცა მოდულური მიდგომა გვიჩვენებს, რომ ნიშნის მინიჭება ხდება საწარმოო სტადიაზე შეფასებისას;

– შეფასებისას მესამე მხარის მოწვევის შემთხვევაში დასაშვებია მისი ნიშნის ან ბეჭდის დატანა CE ნიშანთან ერთად;

– CE ნიშანი ადასტურებს, რომ ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმები უსაფრთხოების გარანტიას იძლევა.

საქართველოში შესაბამისობის ეროვნული ნიშნის გამოსახულება და ზომები დადგენილია სტანდარტით სსტ 1.11 (ნახ.13). იგი დაისმება სერტიფიცირებული პროდუქციის ყოველ ნაკეთობაზე, დამამზადებლის ნიშანდების (სასაქონლო ნიშნის) ახლოს ნაკეთობის მოუხსნად ნაწილზე, აგრეთვე მას აღნიშნავენ საექსპლუატაციო და თანმხლებ დოკუმენტაციაზე (პასპორტი, იარლიყი, ეტიკეტი და სხვ.). ნიშანი უნდა იყოს ხილული, ადვილად გარჩევადი და მოუცილებადი. თუ პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე ნიშნის დატანა შეუძლებელია პირდაპირ პროდუქციაზე, მაშინ ის დაიტანება შეფუთვაზე.

ნახ.13.

პროდუქციაზე შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დამამზადებლის მიერ შესაბამისობის ნიშნის გამოყენება არ დაიშვება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული შესაბამისობის ნიშნები და ზოგიერთი საერთაშორისო ნიშანი მოცემულია მე-14 ნახაზზე.



ნახ.14 შესაბამისობის ნიშნები

მე-14 ნახაზზე მოცემულია შემდეგი ნიშნები:

ა – (Ростест) – ხარისხის ნიშანი, რუსეთის ფედერაცია;

ბ – GS-mark - პროდუქცია შეესაბამება ხარისხის და უსაფრთხოების გერმანულ სტანდარტებს;

გ – CSA - სტანდარტების კანადის გაერთიანება;

დ – FCC - კომუნიკაციის ფედერალური კომისია (ამერიკის შეერთებული შტატები);

ე – BSI - ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტი;

ვ – TUV Product Service - სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ზ – ENEC "European Norms Electrical Certification" –ელექტროტექნიკური და ელექტრონული მოწყობილობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი;

თ – Woolmark შალისაგან დამზადებული ნაწარმი;

ი – EnergyStar სერტიფიკაციის ნიშანი (ამ ნიშნით მარკირებული პროდუქცია მოიხმარს ნაკლებ ენერგიას);

კ – ოქროს ნიშანი - რუსული მარკა ენიჭება პროდუქციასა და მომსახურებას, თუ ის შეესაბამება საერთაშორისო დონეს და სიახლისა და ეფექტურობის შემცველ ტექნოლოგიებს.

11. სერტიფიცირებულ ობიექტზე საინსპექციო კონტროლი და ტექნიკური რეგლამენტების დაცვაზე ზედამხედველობა

სერტიფიცირებული პროდუქციის მახასიათებლების არასტაბილურობაზე ტარდება *საინსპექციო კონტროლი.* კონტროლის შედეგები უნდა გაფორმდეს აქტში, რომელშიც გაკეთდება დასკვნა გაცემული სერტიფიკატის მოქმედების შენარჩუნების (გაუქმების, შეჩერების) შესახებ.

სერტიფიცირებულ ობიექტზე საინსპექციო კონტროლს ახორციელებს ორგანო, რომელმაც გასცა სერტიფიკატი. იგი ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. შემოწმება არსებობს გეგმიური და არაგეგმიური.

გეგმიური წესით საინსპექციო კონტროლის ჩატარების პერიოდულობა მითითებულია შეთანხმებაში სერტიფიკატის გამოყენების უფლების და შესაბამისობის ნიშნის გამოყენების შესახებ, რომელიც იდება დამამზადებელთან სერტიფიკაციის ორგანოს მიერ კონკრეტული პროდუქციის სპეციფიკის, სერტიფიცირებული პროდუქციის გამოშვების მოცულობის და ხანგრძლიობის, ხარისხის სისტემაზე სერტიფიკატის არსებობის გათვალისწინებით. ამავე დროს სერტიფიცირებული პროდუქციის გეგმიური საინსპექციო კონტროლი ტარდება გეგმა-გრაფიკის

შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელობა.

არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი ტარდება სერტიფიცირებული პროდუქციის მომხმარებლისაგან შემოსული საჩივრებისა და პრეტენზიების არსებობისას, რომლებიც ეყრდნობა არსებითი არაშესაბამისობების აღმოჩენის კონკრეტულ, არგუმენტირებულ და დოკუმენტურად დადასტურებულ ფაქტებს, აგრეთვე პროდუქციაზე და წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე ნორმატიულ დოკუმენტებში, სერტიფიცირებული ნაკეთობის კონსტრუქციაში, მომსახურების გაწევის ტექნოლოგიაში ან საწარმოს ინფორმაციულ სტრუქტურაში არსებითი ცვლილებებისას, რაც გავლენას მოახდენს ხარისხის სისტემის ელემენტებზე.

გეგმიური საინსპექციო კონტროლის ანაზღაურება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საქართველოს კანონის „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის" თანახმად თუ შემოწმების შედეგად პროდუქცია სახიფათო აღმოჩნდება, შემოწმების პროცედურების ხარჯების გაწევა, შესამოწმებელი ნიმუშების ღირებულების ჩათვლით, უკისრება მწარმოებელს ან დისტრიბუტორს, შესაბამისად მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ბრალის გათვალისწინებით.

საინსპექციო კონტროლი მოიცავს სერტიფიცირებული ობიექტის შესახებ ინფორმაციის ანალიზს და პროდუქციის ნიმუშების ან მომსახურების არჩევით კონტროლს. ხოლო სერტიფიცირებული სპეციალისტის კონტროლისას მოწმდება მისი საქმიანობის შესაბამისობა დადგენილ კრიტერიუმებთან. საინსპექციო კონტროლის შედეგების მიხედვით დგება აქტი, რომელშიც კეთდება დასკვნა სერტიფიკატის მოქმედების შენარჩუნების, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ. სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება ხდება ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა მაკორექტირებელი ღონისძიებების გამოყენებით გარკვეული (მოკლე) ვადის განმავლობაში გამოსწორდეს. სერტიფიკატის მოქმედების შეწყვეტა შეიძლება თუ გამოვლინდა პროდუქციის შეუსაბამობა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან, აგრეთვე პროდუქციაზე ნორმატიული დოკუმენტის ან გამოცდის მეთოდის შეცვლისას; პროდუქციის კონსტრუქციის კომპლექტურობის შეცვლისას; წარმოების ორგანიზაციის და ტექნოლოგიის შეცვლისას.

ხარისხის სისტემების საინსპექციო კონტროლის პროცედურით გათვალისწინებულია: სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის ყოველწლიური კონტროლი; საინსპექციო კონტროლის აქტის შედგენა; გადაწყვეტილების მიღება შესაბამისობის სერტიფიკატის და შესაბამისობის ნიშნის დადასტურების, შეჩერების ან გაუქმების შესახებ.

სერტიფიკაციის პროცესში სადავო საკითხების განხილვა წარმოებს სერტიფიკაციის სისტემის სააპელაციო საბჭოს მიერ. საჭიროების შემთხვევაში შემოწმების ჩასატარებლად ინიშნება სპეციალურად გამოყოფილი დამოუკიდებელი კომისია.

საინსპექციო კონტროლის ჩატარების მაგალითის სახით გავეცნოთ უზბეკეთში მოქმედ „საინსპექციო კონტროლის ჩატარები წესს", რომლის თანახმად საინსპექციო კონტროლის ობიექტებია სერტიფიცირებული პროდუქცია და მისი წარმოება. საინსპექციო კონტროლის მოცულობა განისაზღვრება სერტიფიკაციის ორგანოს მიერ და ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულია: პროდუქციის გამოცდის შრომატევადობაზე, უკვე ჩატარებული საინსპექციო კონტროლის შედეგებსა და აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობის შედეგებზე.

საინსპექციო კონტროლის ჩატარების საფუძველია სერტიფიკაციის ორგანოს ბრძანება, რომელშიც მითითებულია საინსპექციო კონტროლის ჩამტარებელი კომისიის შემადგენლობა და ჩატარების კონკრეტული ვადები (არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს). კონტროლს ახორციელებენ ხარისხის ექსპერტი-აუდიტორები. საჭიროების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია მოიწვიოს სხვა აკრედიტებული ორგანოების ექსპერტი-აუდიტორები. კომისიის წევრებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოთხოვნები.

საინსპექციო კონტროლი უნდა ჩატარდეს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს საინსპექციო კონტროლის ჩასატარებლად საჭირო სამუშაოების მიზანსა და ობიექტებს, მის მოცულობასა და შინაარსს. ბრძანების ერთი ეგზემპლარი უნდა გადაეცეს დამამზადებელს, მიღების დადასტურებით ხელმოწერის გზით.

საინსპექციო კონტროლი იწყება დამამზადებელთან ან ვაჭრობაში (მომხმარებელთან) ნიმუშების აღებით დამამზადებლის წარმომადგენლის თანდასწრებით. ნიმუშის აღება და პროდუქციის იდენტიფიკაცია ფორმდება აქტით.

გამოცდისათვის საჭირო ნიმუშების რაოდენობა, არჩევის, იდენტიფიკაციის და გამოცდის წესი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციაზე ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

პროდუქციის ნიმუშების გამოცდა მიმდინარეობს აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიებში (ცენტრებში) ან სერტიფიცირებული პროდუქციის დამამზადებლის ტექნიკურ კომპეტენტურობაზე აკრე-

დიტებულ საგამოცდო ლაბორატორიებში საინსპექციო კონტროლის კომისიის წარმომადგენლის თანდასწრებით. გამოცდის შედეგები ფორმდება ოქმის სახით.

საინსპექციო კონტროლის შედეგების მიხედვით შედგება აქტი ორ ეგზემპლარად, ერთი გადაეცემა დამამზადებელს, მეორე ეგზავნება სერტიფიკაციის ორგანოს. აქტს ხელს აწერენ კომისიის ყველა წევრი და დამამზადებელი, რომელსაც იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება საინსპექციო კონტროლის შედეგებს, შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი. აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს საწყისი მონაცემები დამამზადებლის შესახებ, პროდუქციის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან, ტექნოლოგიური პროცესის აღწერილობა და წარმოების მეტროლოგიური უზრუნველყოფა და დასკვნა.

საინსპექციო კონტროლის შედეგების მიხედვით საინსპექციო კონტროლის აქტის შედგენიდან 3 დღის განმავლობაში მიიღება გადაწყვეტილება შესაბამისობის სერტიფიკატის დადასტურების, შეჩერების ან ანულირების (გაუქმების) შესახებ. გადაწყვეტილების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება დამამზადებელს არა უგვიანეს სამი დღისა გადაწყვეტილების მიღებიდან.

შესაბამისობის სერტიფიკატის შეჩერების შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ვადები გამოვლენილი ნაკლოვანებების მიმართ მაკორექტირებელი ქმედებების ჩასატარებლად.

შესაბამისობის სერტიფიკატის ანულირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნდა ეცნობოს სერტიფიკაციის სამუშაოების მაკოორდინირებელ ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში „უზსტანდარტს"), საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს და საჭიროების შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ანულირება ძალაში შედის რეესტრიდან სერტიფიკატის ამოღების მომენტიდან. ანულირებულ შესაბამისობის სერტიფიკატს ანადგურებენ სერტიფიკაციის ორგანოში, რომ შესახებაც კეთდება ჩანაწერი შესაბამის ჟურნალში, სადაც აისახება შემდეგი მონაცემები:

– ანულირების შესახებ სერტიფიკაციის ორგანოს გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი;

– პროდუქციის დასახელება;

– დამამზადებლის დასახელება;

– შესაბამისობის სერტიფიკატის რიგითი ნომერი და ნომერი სახელმწიფო რეესტრის მიხედვით;

– განადგურების თარიღი.

სერტიფიკაციის ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობისას დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სააპელაციო ორგანოს ან უშუალოდ სასამართლოს.

ზედამხედველობა – განხორციელებული საქმიანობის სახეობათა ნაკრები, რომელიც მიმართულია ტექნიკური რეგლამენტების, აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების

დარღვევის კონკრეტულ შემთხვევაზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე რეაგირებისათვის.

ზედამხედველობა ხორციელდება პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებრივი ინტერესების და გარემოსათვის, მომხმარებელთა უფლებების და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციის და პროდუქციის ხარისხის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღმოფხვრის მიზნით.

ტექნიკური რეგლამენტების დაცვაზე ზედამხედველობის ობიექტები შესაძლოა იყოს პროდუქცია, წარმოების, ექსპლუატაციის, შენახვის, გადაზიდვის, რეალიზაციის და უტილიზაციის პროცესები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით.

ზედამხედველობისას გამოიყენება შემდეგი პროცედურები: პროდუქციის გამოცდა, ტექნიკური დათვალიერება, გაზომვითი კონტროლი, პროდუქციის იდენტიფიკაცია და სხვ. მეთოდები რაც უზრუნველყოფს შედეგების უტყუარობას და ობიექტურობას.

შესაფასებლად აიღება პროდუქციის ნიმუში (სინჯი).

პროდუქციის მიმართ ზედამხედველობა ხორციელდება პროდუქციის მიმოქცევის სტადიაზე.

საქართველოს კანონის "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" თანახმად, ბაზარზე გატანილ პროდუქციაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო – კომპეტენტური ორგანო. იგი მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

კანონით განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანოების შემდეგი ძირითადი უფლებები:

- ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში:

  – განახორციელონ უსაფრთხო პროდუქციის სახით ბაზარზე გატანილი პროდუქციის შემოწმება და ამ მიზნით აიღონ მისი ნიმუშები;

  – მწარმოებელს ან დისტრიბუტორს მოსთხოვონ აუცილებელი ინფორმაცია;

- ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომლის განსაზღვრულ პირობებში გამოყენება უკავშირდება რისკს:

– მოითხოვონ რისკის თაობაზე შესაბამისი, ნათლად ჩამოყალიბებული გაფრთხილების პროდუქციაზე დატანა ქართულ ენაზე;

– მოითხოვონ პროდუქციის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

• ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს საფრთხეს პირთა განსაზღვრული წრისათვის, მოითხოვოს ამ პირთა გაფრთხილება გონიერულ ვადაში და სათანადო ფორმით, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება;

• ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა;

• ნებისმიერი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ გატანილა ბაზარზე, აკრძალოს მისი ხელმისაწვდომობა და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად;

• ბაზარზე გატანილი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში:

– გამოსცეს ბაზრიდან მისი ამოღების აქტი და ორგანიზება გაუწიოს მის დაუყოვნებლივ შესრულებას; გააერცელოს ინფორმაცია რისკის თაობაზე;

– უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად.

კონკრეტული პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ სპეციალური ნორმატიული აქტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით შესაძლებელია განისაზღვროს კომპეტენტური ორგანოების დამატებითი უფლებები და მოვალეობები.

კანონის თანახმად კომპეტენტურმა ორგანოებმა კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და რისკის ხარისხის გათვალისწინებით.

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებისას გამოიყენება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტისათვის დადგენილი გამოკვლევის (გამოცდის) და გაზომვის წესები.

თუ კომპეტენტური ორგანო არ ფლობს შესაბამის საშუალებებს პროფესიული ექსპერტიზის განსახორციელებლად, მას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს შესაბამის ორგანოს.

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო მოვალეა:

- ზედამხედველობის ღონისძიებების მსვლელობისას ჩაატაროს განმარტებითი სამუშაო ტექნიკური რეგულირების სფეროში ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენების და არსებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ;
- დაიცვას კომერციული და კანონით გათვალისწინებული სხვა საიდუმლო;
- დაიცვას ზედამხედველობის განხორციელების წესი და გააფორმოს ამ ღონისძიების შედეგი კონონმდებლობით დაწესებული წესით;
- ზედამხედველობის ღონისძიებების შედეგების საფუძველზე მიიღოს ზომები ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის შედეგების თავიდან ასაცილებლად;
- დადგენილი წესების შესაბამისად დააგზავნოს ინფორმაცია ზედამხედველობის პროცედურის შედეგად აღმოჩენილი არაშესაბამისობის შესახებ;
- განახორციელოს ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

გასათვალისწინებელია ზედამხედველობის ორგანოების და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებისას. კერძოდ, ორგანოები და პირები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის არაწესიერად შესრულების შემთხვევაში და არაკანონიერი ქმედებების (უმოქმედობის) შემთხვევაში პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

ტექნიკური რეგლამეტის მოთხოვნებთან პროდუქციის, პროცესების, წარმოების, ექსპლუატაციის, შენახვის, გადაზიდვის, რეალიზაციის და უტილიზაციის არაშესაბამისობისობაზე პასუხს აგებს დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი, პირი, რომელიც უცხოელი დამამზადებლის ფუნქციებს ასრულებს) მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში სტანდარტების მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში თანამდებობის პირებისადმი გამოიყენებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებები, აგრეთვე გაიცემოდა *მიწერილობები* და

ხდებოდა *დაჯარიმება* საქართველოს კანონების „სტანდარტიზაციის შესახებ", „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ", „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" შესაბამისად.

რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის არაშესაბამისობის, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით პროცესების, წარმოების, ექსპლუატაციის, შენახვის, გადაზიდვის, რეალიზაციის და უტილიზაციის პროცესების განხორციელების შემთხვევაში ზიანი მიადგა მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა ქონებას, სახელმწიფო ან მუნიციპალურ ქონებას, გარემოს, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან ასეთი ზიანის მიყენების საშიშროება გაჩნდა, დამამზადებელი (შემსრულებელი, გამყიდველი, პირი, რომელიც უცხოელი დამამზადებლის ფუნქციებს ასრულებს) მოვალეა აანალიზაროს სხვა პირთათვის, მათი ქონებისადმი, გარემოსადმი მიყენებული ზარალი რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარების ღირებულება

სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან, რომელშიც შედის ხარჯები:

– პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციის ორგანოების;

– საგამოცდო ლაბორატორიების;

– ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის ორგანოების;

– საინსპექციო კონტროლის ჩატარებაზე;

– სერტიფიკატისა და შესაბამისობის ნიშნის გამოსაყენებლად ლიცენზიის გაცემაზე.

ზოგადად, კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციაზე ჯამური დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$C = C_{სო} + C_{ნიმ} + C_{ემც} + C_{ა} + C_{ხს} + \sum_{i=1}^{n} C_{სკჰ} + \sum_{i=1}^{m} C_{სკხსj} + C_{ხშ} + C_{დ},$$

სადაც $C_{სო}$ პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ჩატარებული სამუშაოების ღირებულებაა;

$C_{ნიმ}$ - სასერტიფიკაციო გამოცდისათვის ამორჩეული ნიმუშების ღირებულება;

$C_{გმც}$ - აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიაში პროდუქციის გამოცდის ღირებულება;

$C_{ა}$ -წარმოების მდგომარეობის ანალიზის ღირებულება;

$C_{სს}$ -საწარმოს ან ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის ღირებულება;

$C_{სკპ}$ -ერთი შემოწმების ღირებულება, რომელიც ტარდება სავალდებულო სერტიფიკაციის წესით სერტიფიცირებული პროდუქციის (მომსახურების) საინსპექციო კონტროლის ჩარჩოებში;

n – საინსპექციო კონტროლის პროგრამით გათვალისწინებული შემოწმებების რაოდენობა;

$C_{სახყ}$ - ერთი შემოწმების ღირებულება, რომელიც ტარდება სავალდებულო სერტიფიკაციის წესით სერტიფიცირებული ხარისხის სისტემის (წარმოების) ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის საინსპექციო კონტროლის ჩარჩოებში;

m – საინსპექციო კონტროლის პროგრამით გათვალისწინებული შემოწმებების რაოდენობა;

$C_{ხუუ}$ -ხარჯები ნიმუშის შეფუთვაზე, შენახვაზე, უტილიზაციაზე, ტრანსპორტირებაზე გამოცდის ადგილზე მისატანად;

$C_{დ}$ -სამუშაოების ღირებულება განაცხადი-დეკლარაციის განხილვაზე.

კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით სერტიფიკაციის სამუშაოების ღირებულების გამოსათვლელ ფორმულაში ჩაირთვება მხოლოდ ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოების შესაბამისი ელემენტები.

სერტიფიკაციის ორგანოს ხარჯები პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციისას გამოითვლება ფორმულით.

$$C_{სო}=t_{სოi} \times T \times (1+(K_{ხდ}+K_{ზხ})/100) \times (1+P/100),$$

სადაც $t_{სოi}$ კონკრეტული პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციის შრომატევადობაა სერტიფიკაციის სქემის მი-

ხედვით, ად.დღე;

T -ექსპერტის დღიური განაკვეთი (ანაზღაურება);

$K_{ხდ}$ -კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელფასზე დანარიცხის ნორმატივი, %;

$K_{ზ}$ -ზედნადები ხარჯების კოეფიციენტი, %;

P - რენტაბელურობის დონე, %.

რუსეთში დადგენილებით „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის სამუშაოების ანაზღაურება", გათვალისწინებულია შრომატევადობის ნორმატივები, რომელსაც უნაზღაურებს განმცხადებელი პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოს. ნიმუშისათვის ეს ნორმატივები შემოკლებულად მოყვანილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

სამუშაოს დასახელება	შრომატევადობის ზღვრული ნორმატივები კონკრეტული პროდუქციის სავალდებულო სერტიფიკაციისას, ად.დღე, ზოგიერთი სერტიფიკაციის სქემისათვის		
	სქ. 3	სქ.8	სქ.10
1. განაცხადის მიხედვით სერტიფიკაციაზე გადაწყვეტილების მიღება			
1.1. განაცხადის მიღება, შემავალი კონტროლი და რეგისტრაცია	0,5	0,5	0,5
1.2. განცხადებაზე დართული დოკუმენტების განხილვა	2,0	2,0	
1.3. განაცხადი-დეკლარაციის და თანმხლები დოკუმენტების განხილვა	-		4,0
1.4. სერტიფიცირებული პროდუქციის წარმოების მდგომარეობის წინასწარი გაცნობა		-	-
1.5.სერტიფიკაციის სქემისა და პროგრამის არჩევა	0,5	0,5	0,5
1.6.თანაშემსრულებელი ორგანიზაციის არჩევა	1,5	-	-
1.7.განაცხადზე გადაწყვეტილების მომზადება	1,0	1,0	1,0
2. სერტიფიკაციის პროცედურების შესრულება			
2.1. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად ნიმუშების არჩევა და იდენტიფიკაცია	3,0	3,0	
2.2. გამოცდის ოქმის ანალიზი	1,0	-	-
2.3. სასერტიფიკაციო პროდუქციის წარმოების შემოწმება			
2.3.1. წარმოების მდგომარეობის ანალიზი			

2.3.2. წარმოების ან ხარისხის სისტემის სერტიფიკაციის სამუშაოების შედეგების ანალიზი			
2.4. დადგენილ ნორმებთან პროდუქციის შესაბამისობის შეფასება და გადაწყვეტილების მომზადება შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობის შესახებ	1,0	1,0	
3.სერტიფიცირებულ პროდუქციაზე საინსპექციო კონტროლი			
3.1.საინსპექციო კონტროლის პროგრამის არჩევა	1,5	-	1,5
3.2.ერთიანი შემოწმების ჩატარება, სერტიფიცირებულ პროდუქციაზე მონაცემების ანალიზითურთ	x		
3.3. წარმოების მდგომარეობის ანალიზი სერტიფიცირებულ პროდუქციაზე საინსპექციო კონტროლის დროს			
3.4. მაკორექტირებელი ზემოქმედებების ჩამონათვალის შემუშავება, მათი რეალიზაციის ვადები	1,5	-	
3.5. მაკორექტირებელი ღონისძიებების რეალიზაციის კონტროლი	2,0		

შენიშვნა: წარმოების ანალიზისათვის გათვალისწინებულია 6-დან 35 ად.დღე (საწარმოს მასშტაბების გათვალისწინებით).

13. ხარისხის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციები

მწარმოებლისა და გამყიდველისათვის სერტიფიკაცია ერთი შეხედვით თავს მოხვეული, არასასიამოვნო და დამამძიმებელი საქმიანობაა. მაგრამ ასეა მხოლოდ იმ მეწარმეთათვის, ვინც ვერ აცნობიერებს, რომ დამოკიდებულია მომხმარებელზე და არ ცდილობს მის დაკმაყოფილებას.

სხვა სიტუაციაა ცივილიზებული ბაზრის შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის ხარისხი ხდება საწარმოს კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორი და საბოლოოდ მისი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობა. მეწარმეები სერტიფიკაციის საშუალებით არწმუნებენ პირველ რიგში საკუთარ თავს და შემდეგ მომხმარებელს იმაში, რომ მათ მიერ მიწოდებული პროდუქცია უსაფრთხო და ხარისხიანია. ასევე ეხმარება დადასტურებაში, რომ მისი საქონლის ხარისხი

უკეთესია სხვა მეწარმის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე და შესაბამისად ადგილს იმკვიდრებს ბაზარზე.

ევროპაში 1989 წლიდან მიღებულია „გლობალური მიდგომა გამოცდისა და სერტიფიკაციისადმი". გამოცდისა და სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამუშავდა სტანდარტების სერია EN 45000 (ევროპული ნორმები). ესაა ერთიანი ნორმატიული ბაზა აკრედიტაციის და სერტიფიკაციის ორგანოებისა და საგამოცდო ლაბორატორიებისათვის. EN 45000 სერია შეიცავს შემდეგ სტანდარტებს:

- EN 45001. საგამოცდო ლაბორატორია. ფუნქციონირების ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45002. ლაბორატორიების აკრედიტაციის ორგანო. ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45003. საგამოცდო ლაბორატორიები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45011. პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოები. ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45012. ხარისხის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოები. ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45013. პერსონალის ატესტაციის ორგანოები. ზოგადი კრიტერიუმები;
- EN 45014. მიმწოდებლის განაცხადი შესაბამისობაზე. ზოგადი კრიტერიუმები.

საერთაშორისო ვაჭრობის გააქტიურებასთან ერთად იქმნება ხარისხის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელი. ამავე დროს ფართოვდება ცალკეული ქვეყნების კავშირი ამ ორგანიზაციებთან, რომელთა დასახელება და შექმნის მიზანი ნაჩვენებია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

ხარისხის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები

აბრევიატურა	*ორგანიზაციის სრული დასახელება*	*შექმნის მიზანი*
EUROLAB	გამოცდის ევროპული ორგანიზაცია	საგამოცდო ლაბორატორიების გაერთიანება
EUROCHEM	ევროპული კოოპერაცია ანალიზურ ქიმიაში	ქიმიურ-ანალიზური ლაბორატორიების გაერთიანება

EQS	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების დანერგვის და სერტიფიკაციის ევროპული კომიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების სფეროში სერტიფიკაციის ორგანოების გაერთიანება
ECITS	ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში გამოცდის და სერტიფიკაციის ევროპული კომიტეტი	
ELSECOM	ევროპული ელექტროტექნიკური კომიტეტი გამოცდასა და სერტიფიკაციაში	სერტიფიკაციის ორგანოების და საგამოცდო ლაბორატორიების გაერთიანება
ESCIF	სახანძრო უსაფრთხოების ევროპული კომიტეტი	
EOTC	ევროპული ორგანიზაცია გამოცდასა და სერტიფიკაციაში (დაარსებულია 1990 წ. შტაბბინა ბრიუსელში)	ECITS, ELSECOM და ESCIF -ის გაერთიანება ევროპაში სერტიფიკაციის ჰარმონიზაციისათვის
ILAC	ლაბორატორიების აკრედიტაციის დარგში საერთაშორისო კონფერენცია (დაარსებულია 1977 წ.)	აკრედიტაციის ორგანოებსა და ლაბორატორიებს შორის გამოცდილების გაზიარება
IAF	საერთაშორისო ფორუმი აკრედიტაციაში დაარსებულია 1993 წ.	აკრედიტაციის სისტემის და კრიტერიუმების უნიფიკაცია ევროპასა და მსოფლიოში
EA	საგამოცდო ლაბორატორიების და სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის ევროპული კოოპერაცია	გამოცდისა და სერტიფიკაციისადმი ნდობის ფორმირება ევროპაში

აქვე გთავაზობთ მცირე ინფორმაციას სერტიფიკაციის ზოგიერთი საერთაშორისო ორგანოსა და რამდენიმე ქვეყნის სერტიფიკაციის ორგანოების შესახებ.

TÜV CERT - სერტიფიკაციის აღიარებული საერთაშორსო საზოგადოება, რომელიც გერმანიაშია. მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სერტიფიკაციის სისტემაა და წევრია სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (Independent International Organization for Certification). TÜV CERT -ის მიერ სერტიფიცირებულია 30 ათასი ფირმის ხარისხის მენეჯმენტის სისტემები 84 ქვეყანაში. აგრეთვე ატარებენ პროდუქციის, მოშსახურების და პერსონალის სერტიფიცირებას. ორგანიზაციაში მოღვაწეობს ტექნიკისა

და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს 20 000-ზე მეტი სპეციალისტი. TÜV CERT აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს – TGA-ს მიერ. აკრედიტაციის მოწმობა ადასტურებს, რომ TÜV CERT სერტიფიკაციას ატარებს DIN EN45012 „ხარისხის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოები. ზოგადი კრიტერიუმები "-ს შესაბამისად.

TÜV CERT -ის მიერ ხარისხის მენეჯმენტის სისტემებსა და პროდუქციაზე გაცემულ სერტიფიკატებს მნიშვნელოვანი საბაზრო ღირებულება აქვთ და გავრცელებულია მსოფლიოს 90 ქვეყანაში. ამ სერტიფიკატის მფლობელია 35 ათასზე მეტი საწარმო. TÜV CERT-ის მიერ გაცემული სერტიფიკატის ნიმუში ნაჩვენებია ნახ. 15 –ზე.

TÜV

СЕРТИФИКАТ

Орган сертификации TÜV CERT
TÜV Thüringen e.V.

ОАО «Пример»
124587, Москва
Россия

Проектирование, разработка, производство, поставка, монтаж и техническое обслуживание компрессорного оборудования.

3330 1234 A0

DIN EN ISO 9001 2000

2007-04-01

TÜV

ნახ. 15. TÜV CERT-ის მიერ გაცემული სერტიფიკატის ნიმუში

TÜV Rheinland რომლის წინამორბედი იყო მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანიაში დაარსებული დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანიზაცია, რომლის უფლებამოსილებაში შედიოდა

ორთქლის ქვაბების სავალდებულო ინსპექცია, ხოლო შემდგომ ავტომობილების ინსპექცია. მე-20 საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციამ გააფართოვა თავისი საქმიანობა სამთო-მომპოვებელ და ენერგეტიკულ წარმოებაში. 1960 წლიდან TÜV Rheinland ქმნის ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ფილიალებს. დღეისათვის ასეთი 100-ზე მეტი ფილიალია 50 ქვეყანაში, ათასობით პერსონალით და 700 მილიონი ევრო წლიური ბრუნვით. თავისი ქსელის საშუალებით TÜV Rheinland-ს შეუძლია კლიენტებს შესთავაზოს მრავალი სახის მომსახურება: კონსულტაციები (კონსალტინგი), გამოცდების ჩატარება, ინსპექტირება და სერტიფიკაცია (როგორც სავალდებულო ისე ნებაყოფლობითი). მაგალითად, TÜV Rheinland ფილიალებს, როგორც უფლებამოსილ (ნოტიფიცირებულ) ორგანოებს, სათამაშოების შესახებ ევროკავშირის დირექტივების მიხედვით შეუძლიათ ჩაატარონ ტესტირება და ანალიზი პროდუქციის შესაბამისობაზე CE მარკირების მისაღებად. ორგანიზაციას ასევე შეუძლია საქონლის სერტიფიცირება GS (German safety mark) მარკირებით და ხარისხის მარკირება TÜV Rheinland PROOF -ი, რომელთა მისაღებად ევროკავშირისა და ეროვნული სტანდარტების თანახმად საჭიროა დამატებითი ტესტირება.

<u>TÜV NORD INTERNATIONAL</u> – საერთაშორისო ორგანიზაცია სათაო ოფისით ქ. ესენში.

ორგანიზაციაში დანერგილია და მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც TÜV NORD Gruppe -ის მართვის სისტემასთან ერთად უზრუნველყოფს ყველა პროცესის შესრულებას ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების, კერძოდ ხარისხის სახელმძღვანელოს, რეგლამენტების და სხვა დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებენ ამ ორგანიზაციაში და TÜV NORD Gruppe-ში. მაგალითად ქცევის კოდექსი, აგრეთვე წესდების და ორმხრივი შეთანხმების დებულებები.

TÜV NORD INTERNATIONAL თანამშრომლობს მონათესავე ორგანიზაციებთან და ეხმარება მათ საქმიანობაში. იგი ავალებს საერთაშორისო სერტიფიკაციის განყოფილებას, რომელიც ფლობს აკრედიტაციების დიდ რაოდენობას, უზრუნველყოს სერტიფიკაციის სამუშაოები საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში TÜV NORD CERT GmbH და TÜV CERT აკრედიტაციის წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.

თავის მხრივ TÜV NORD CERT GmbH-ისაგან, რომელიც TÜV NORD Gruppe -ში შემავალი სრულუფლებიანი სერტიფიკაციის ორგანოა, მოითხოვება საზღვარგარეთ სერტიფიკაციის სამუ-

შაოების მართვა ადგილობრივი აკრედიტაციის პირობების მიხედვით.

TÜV NORD Gruppe ტექნიკური მომსახურების ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში. ორგანიზაციას ჰყავს 6000 თანამშრომელი, რომელთა დახმარებით ტარდება კონსულტაციები, ტესტირება, ექსპერტიზა, ტექნიკური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ხარისხის სისტემების, აგრეთვე პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. როგორც საინსპექციო ორგანიზაცია, ჯგუფი წარგზავნის თავის პერსონალს და მასში შემავალი კომპანიების წარმომადგენლებს გერმანიის სხვა რეგიონებში და ევროპის 36 სხვა ქვეყანაში, აზიაში და ამერიკაში. ჯგუფი მხარს უჭერს გერმანული კომპანიების უცხოურ ბიზნესს თავისი საერთაშორისო წარმომადგენლობის და კომპანიების დახმარებით. ჯგუფის პრინციპებია: დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, პატიოსნება. ჯგუფის აქციონერებია ტექნიკური საინსპექციო ორგანოები: RWTÜV, TÜV Hannover.

TÜV NORD -ის კლინტებს შორის არიან მსოფლიოში ცნობილი კომპანიები: ThyssenKrupp, SONY, Daimler-Chrysler, BMW, Ford, Daewoo, FIAT Group, Pepsi Cola, Bayer, Formosa Group, Indian Oil Corp., Siemens, SAP, XEROX Corp., ABB Group და სხვ. მარკირება ხდება ნახ. 16 ნაჩვენები ნიშნებით.

ნახ. 16. TÜV მარკირების ზოგიერთი ნიშანი

AFAQ AFNOR Certificatin -სერტიფიკაციის ცენტრი, რომელიც ერთ-ერთია სტანდარტიზაციის საფრანგეთის ასოციაცია AFNOR-ის სტრუქტურაში შემავალი 3000 კომპანიიდან. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს საშენი მასალების და წნევის ქვეშ მომუშავე აღჭურვილობის შესაბამისობის შეფასება არსე-

ბულ დირექტივებთან. აგრეთვე იგი ახორციელებს NF მარკირების კონტროლს.

NF მარკირებას აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი. გამონაკლისია სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია (მასალები, წამლები, აღჭურვილობა), სადაც გამოცდა, მათ შორის კლინიკური, აუცილებელია. ასეთი საქონლის მარკირება ხდება ნიშნით NF-MEDICAL.

შესაძლებელია ამ ნიშნით მარკირებული იყოს საზღვარგარეთული პროდუქცია, თუ იგი შეესაბამება ანალოგიური ფრანგული პროდუქციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ე.წ. „მარკირების ქსელი" შედგება პროცესში მონაწილე სერტიფიკაციის ორგანოების, აუდიტორების და საგამოცდო ლაბორატორიებისაგან. მე-17 ნახაზზე ნაჩვენებია NF მარკირების ზოგიერთი ნიშანი.

ა ბ გ დ

ნახ.17. NF მარკირების ზოგიერთი ნიშანი: ა) AFAQ AFNOR Certification-ის სერტიფიკაციის ნიშანი; ბ) სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქციისათვის; გ) ეკოლოგიური პროდუქციისათვის; დ) მომსახურებისათვის

AFAQ AFNOR International საერთაშორისო ცენტრი, ხელს უწყობს სერტიფიკაციის პოლიტიკის განვითარებას, ტექნიკურ თანამშრომლობას და სწავლებას. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ხარისხის სისტემების შეფასება და სერტიფიკაცია, სასწავლო პროგრამების შექმნა და ექსპერტებისა და აუდიტორების მომზადება, საერთაშორისო და დარგობრივი სტანდარტების შემუშავება, საინფორმაციო მომსახურება. მათ მიერ გაცემულია 23 500 სერტიფიკატი 60-ზე მეტ ქვეყანაში.

Lloyd's Register - დაარსებულია 1834 წელს ინგლისში. ისტორიულად ესაა კლასიფიკაციის საზღვაო საზოგადოება და რისკის მართვის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მე-20 საუკუნეში მუშაობას იწყებს სხვადასხვა სექტორებში: ნავთობი და გაზი, გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები, ბირთვული ტექნიკა და რკინიგზა. მისი 100 ფილიალი ეშსახურება ხარისხის მართვის სისტემების შეფასებას ISO 9000 და ISO 14000–ის მიხედვით. ადასტურებს 800-ზე მეტი ნავთობისა და

გაზის მწარმოებელი ოფშორული პლატფორმების უსაფრთხოებას, ნოტიფიცირებულია რკინიგზის რეგლამენტ 2000-ის მიხედვით უსაფრთხოების შემდეგ სფეროებში: სიგნალების გადაცემის და კონტროლის ცენტრები, ენერგია, ინფრასტრუქტურა, ტექნიკური მომსახურება, მოძრავი შემადგენლობები.

LRQA – Lloyd's Register Quality assurance ხარისხის სისტემების სერტიფიკაციის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც Lloyd's Register ჯგუფის ნაწილია. დაარსებულია 1985 წ., მონაწილეობდა საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000:2005 „საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მართვის სისტემები. მოთხოვნები საკვები პროდუქტების წარმოების ჯაჭვში მონაწილე ორგანიზაციებისადმი" შემუშავებაში და ამჟამად ატარებს სერტიფიკაციას ამ სტანდარტის შესაბამისობაზე. იგი პირველი ორგანიზაციაა რომელიც აკრედიტებულია UKAS –ის მიერ როგორც ამ სტანდარტის მიმწოდებელი.

NIST – ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტებისა და ტექნოლოგიის ნაციონალური ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში მყოფი სერტიფიკაციის კომიტეტი ხელმძღვანელობს სერტიფიკაციის სამუშაოებს. მისი ფუნქციებია სერტიფიკაციის პროგრამების და სერტიფიკაციის წესების შეფასება და რეგისტრაცია, სერტიფიკაციის ორგანოების კომპეტენტურობის შემოწმება (საჭირო აღჭურვილობის არსებობა, პერსონალის კვალიფიცირებულობა და სხვ.). სასერტიფიკაციო სამუშაოებში მონაწილეობს 2000-ზე მეტი საგამოცდო ლაბორატორია. სერტიფიკაციის ჩატარების საკანონმდებლო საფუძვლად ითვლება სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების შესახებ კანონი, რომლის თანახმად სავალდებულო სერტიფიკაციას ექვემდებარება პროდუქცია, რომელზეც არსებობს სახელმწიფო სტანდარტი, აგრეთვე პროდუქცია, რომელსაც შეისყიდის სახელმწიფო შიგა და გარე ბაზარზე.

ВНИИС – „სერტიფიკაციის სრულიად რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი", ღია ტიპის სააქციო საზოგადოება, რომელიც ქმნის პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის დადასტურების სამეცნიერო-მეთოდურ და საორგანიზაციო საფუძვლებს, დაკავებულია ხარისხის მენეჯმენტის სისტემების შექმნით და აკრედიტაციით. მის ბაზაზე არსებობს სერტიფიკაციის ორგანოები, მაგალითად: ელექტრომოწყობილობის; კვების პროდუქტების და სასურსაო ნედლეულის; დაცვის ინდივიდუალური საშუალებების; ხარისხის სისტემების

–ВНИИС-СЕРТ; მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემების ВНИИС-СЕРТ-ИСМ; მომსახურების და სხვ.

«Сертификация» კონსალტინგის ცენტრი (მოსკოვი), დახმარებას უწევს საქონლისა და მომსახურების იმპორტირების, წარმოების და გაყიდვის დროს სერტიფიკატის მიღებით დაინტერესებულთ. ცენტრი თანამშრომლობს ლაბორატორიებთან და სერტიფიკაციის ორგანოებთან (СЭС, ВНИИС, ЦГСЭН, Ростест, Госстандарт). ფირმა ასრულებს დაკვეთებს მოწყობილობის, საქონლის, ადგილობრივი და საზღვარგარეთული სხვადასხვა ტიპის პროდუქციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციაზე.

"РОСТЕСТ" - დახურული სააქციო საზოგადოება „სერტიფიკაციისა და ტესტირების რეგიონული ორგანო" (რუსეთი).

«МОСЭКСПЕРТИЗА» - რუსეთში მოქმედი ГОСТ Р სერტიფიკაციის სისტემაში შემავალი პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანო (აკრედიტაციის ატესტატი № РОСС RU. 0001. 10АЕ50) ატარებს მომსახურების სერტიფიკაციას შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემით შემდეგ სფეროებში:

1. საზოგადოებრივ კვებაში მომსახურების სერტიფიკაცია (რესტორნები, კაფეები, სასადილოები, ბარები და სხვ. კულინარიული პროდუქციის და საკონდიტრო ნაკეთობების დამზადება და რეალიზაცია);

2. საცალო ვაჭრობაში მომსახურების სერტიფიკაცია (კვების პროდუქტების და არასასურსათო საქონლის რეალიზაცია);

3. საპარიკმახერო მომსახურების სერტიფიკაცია: თმის მოვლა (ქიმიური პრეპარატებით და ცხელი დამუშავებით ან მათ გარეშე); სახის, სხეულის, ხელის მტევნების და ტერფების კანის მოვლა; ჰიგიენური მანიკური და პედიკური; დეკორატიული კოსმეტიკა - მაკიაჟი; პოსტიჟერული სამუშაოები - პარიკების და შინიონების დამზადება და რემონტი;

4. საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონული აპარატურის, საყოფაცხოვრებო ელექტრული მანქანების და ხელსაწყოების რემონტი და ტექნიკური მომსახურება (სატელევიზიო, ვიდეოაპარატურა, რადიომიმღებები, აკუსტიკური აპარატურა, მაძლიერებლები, საინფორმაციო ტექნოლოგიის მოწყობილობები, საპროექციო აპარატურა, ტელეფონის აპარატები და სხვ.; მაცივრები, საყინულეები, გამახურებელი ელექტროხელსაწყოები, სამზარეულოს მანქანები, სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები,

ელექტროუთოები, ფენები, ქსელიდან კვების მქონე ტრენაჟერები და სხვ.).

ამ ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატების მოქმედების ვადა სამ წლამდეა.

„სევასტოპოლსტანდარტმეტროლოგია“ უკრაინაში მოქმედი ხარისხის სერტიფიკაციის სისტემის მდგენელი სერტიფიკაციის ორგანო. ატარებს მომსახურების შემდეგი სახეების სერტიფიკაციას:

1. სასტუმროების მიერ გაწეული მომსახურება (რესტორნების მქონე სასტუმროები, რესტორნების გარეშე სასტუმროები, კემპინგები, ახალგაზრდული ტურბაზები, საბავშვო და ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკები, დასასვენებელი სახლები, გამაჯანსაღებელი ტიპის საკურორტო დაწესებულებები, სათავსის მცირე ხნით დაქირავება ავეჯითურთ, მომსახურება საძინებელ ვაგონებში ადგილის შეთავაზებით და სხვ.) მომსახურება კვების სფეროში (მომსახურება რესტორნებში, ბარებში, კაფეებში, სასადილოებში, სასაუზმეებში).

2. ტურისტული მომსახურება.

3. საგზაო-სატრანსპორტო საშუალებების და მათი მდგენელების რემონტი და ტექნიკური მომსახურება (მსუბუქი ან სატვირთო ავტომობილების სამუხრუჭო სისტემის, სამართავი საჭის, ტრანსმისიის და სხვ. რემონტი; ავტობუსების, ტროლეიბუსების, მისაბმელების, მოტოციკლების და სხვ. რემონტი და ტექნიკური მომსახურება, ძრავების, დიზელების და მათი სისტემების რემონტი და ტექნიკური მომსახურება, ავტომობილების მინების ტონირება და სხვ.).

4. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურება (მგზავრების გადაყვანა ავტობუსებით და სამარშრუტო ტაქსებით).

ООО "ТЮФ Норд Украина" ქ. დონეცკში მოქმედი წარმომადგენლობა ტექნიკური ზედამხედველობის საზოგადოებისა TUV NORD, რომელიც 1992 წლიდან მოღვაწეობს სერტიფიკაციის სფეროში მომსახურების უკრაინულ ბაზარზე. 1999 წლიდან გარდაიქმნა შპს-დ. ყველა მის თანამშრომელს გავლილი აქვს სტაჟირება TUV NORD-ში, საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით. მათ მიერ შემუშავებულია ხარისხის მენეჯმენტის სისტემები სხვადასხვა საწარმოებისათვის, ხოლო აუდიტორები ატარებენ სერტიფიკაციის პროცედურებს ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობაზე.

"ТЮФ Норд Украина" და TUV NORD ერთობლივად უწევენ მომსახურებას საწარმოებს მათი პროდუქციის სერტიფიკაციის

სახით ევროპული ნორმების, სხვადასხვა ქვეყნებში მომქმედი ეროვნული სტანდარტების და აგრეთვე ევროდირექტივების შესაბამისობაზე. ასეთი საწარმოებია მაგალითად, მარიუპოლის მეტალურგიული კომბინატი, ზაპოროჟსტალი, დონეცკის ელექტრომექანიკური ქარხანა და სხვ. TUV CERT სერტიფიკატის მფლობელია უკრაინის 170 საწარმო.

"ТЮФ Норд Украина"-სთან არსებული "ТЮФ Норд Академия" დაინტერესებულთ სთავაზობს სასწავლო კურსებს, სადაც ამზადებენ სპეციალისტებს ხარისხის მენეჯმენტის, ეკოლოგიის და გარემოს დაცვის სფეროში.

რესპუბლიკა სომხეთის სტანდარტების ნაციონალური ინსტიტუტი (ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება), რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ნაციონალური და სახელმწიფოთაშორისი სტანდარტების შემუშავება და ექსპერტიზა, სტანდარტიზაციის სფეროში სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა.

საზოგადოება აკრედიტებულია როგორც პროდუქციის, მომსახურების და ხარისხის მართვის სისტემების (ISO 9000) სერტიფიკაციის ორგანო.

საზოგადოება აწარმოებს პროდუქციის ფართო ჩამონათვალის გამოცდებს და ახორციელებს შესაბამისობის დადასტურებას ჩამოთვლილ სფეროებში:

- არასასურსათო საქონლისა და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის სერტიფიკაცია;
- სასურსათო საქონლისა და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის სერტიფიკაცია;
- ხარისხის მართვის სისტემების სერტიფიკაცია ISO-ს სტანდარტების შესაბამისად;
- ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაცია ISO-ს სტანდარტების შესაბამისად;
- მომსახურების სერტიფიკაცია.

საზოგადოება თანამშრომლობს ISO-სთან და დსთ-ს ფარგლებში მოქმედ სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორის საბჭოსთან.

შპს „სეიბოლტ-არმენია“ საერთაშორისო დამოუკიდებელი საინსპექციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა არასასურსათო და სასურსათო საქონლის და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია. კონსულტა-

ციები პლასტმასების, კაუჩუკის, ლაქის, საღებავის, ადჰეზივების და ქიმიური წარმოებისათვის საჭირო სხვა ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის შესახებ.

რესპუბლიკა სომხეთში მიღებულია შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- ზოგიერთი პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის სავალდებულო დადასტურების პროცედურის სქემები;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სინთეზურ საფუძველზე დამზადებული ლაქებისა და საღებავებისადმი მოთხოვნები;
- შიგა წვის ძრავების საწვავი;
- სათამაშოები;
- მინერალური სასუქები;
- ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების შემცველი სინთეზური სარეცხი საშუალებები;
- მოთხოვნები დაბალეოლტიანი მოწყობილობებისადმი;
- მიწისზედა ტრანსპორტისათვის გამოყენებული უსაფრთხო მინები;
- პოლიმერული ნაკეთობები და პლასტმასის ნაკეთობები, რომელთაც კონტაქტი აქვთ კვების პროდუქტებთან;
- სამოქალაქო და სამოსამსახურო იარაღი და მათი ტყვიები;
- ანტიფრიზები და ჰიდრავლიკური სამუხრუჭე სითხეები;
- კანონი კვების პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ;
- მოთხოვნები ნებისმიერი შესაფუთის მქონე დაფასოებული საქონლისადმი მისი წარმოების, დაფასოების, გაყიდვის და იმპორტირებისას;
- კვების უზრუნველმყოფი მომსახურებისადმი მოთხოვნები;
- უსაფრთხოების მოთხოვნები გაზის მეურნეობაში;
- დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრული კონცენტრაციის ნორმები დასახლებული პუნქტების გარშემო ჰაერში;
- სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ექსპლუატირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ტექნიკური რეგლამენტი;
- ტექნიკური რეგლამენტი სომხურ კონიაკსა და სომხურ კონიაკის სპირტზე;
- მოთხოვნები ცემენტისადმი.

AZS აზერბაიჯანის რესპუბლიკის სერტიფიკაცის ნაციონალური სისტემა, რომელიც ატარებს სერტიფიკაციის სამუშაოებს ორი მიმართულებით სავალდებულო და ნებაყოფლობითი.

აზერბაიჯანის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და პატენტების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2006 წელს გაიცა 3336 შესაბამისობის სერტიფიკატი, მათ შორის 1599 სერტიფიკატი გაიცა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც საწარმოო საქმიანობით არიან დაკავებულნი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხოლო 330 სერტიფიკატი გაიცა პროდუქციაზე, რომელიც გაიტანეს აზერბაიჯანის საზღვრებს გარეთ. სერტიფიკატებს გასცემენ აგრეთვე სააგენტოს რეგიონალური განყოფილებები.

(გამოქვეყნებულია
საქართველოს პარლამენტის უწყებანი
1996 წელი – N 22-23)

საქართველოს კანონი
პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ

ეს კანონი ადგენს საქართველოში პროდუქციის, მომსახურების, სხვა ობიექტების (შემდგომ-პროდუქცია) სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამართლებრივ საფუძველებს, აგრეთვე სერტიფიკაციის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხიმგებლობას.

თავი I. ზოგადი დებულებანი *(24.06.2005 N 1790)*

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან მოქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და შეიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებულ საფრთხეს. აგრეთვე კონკრეტული პროდუქციისადმი სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნების მიღებისა და ამ მოთხოვნებთან, ასევე ნებაყოფლობით სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სფეროში წარმომობილ ურთიერთობებს.

2. თუ ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს კონკრეტული პროდუქციის უსაფრთხოების გარკვეულ ასპექტებს ან პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის ცალკეულ კატეგორიებს, ეს კანონი არ ვრცელდება უსაფრთხოების დანარჩენ ასპექტებზე ან რისკის სხვა კატეგორიებზე.

3. ეს კანონი არ ვრცელდება ანტიკვარული ან უნიკალური ნივთის სახით მიწოდებულ პროდუქციაზე, აგრეთვე იმ პროდუქციაზე, რომელიც გამოყენებამდე უნდა შეკეთდეს ან გადაკეთდეს. ასეთ შემთხვევებში მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოს მისგან პროდუქციის მიმღები პირი.

4. ეს კანონი არ ვრცელდება გლეხურ, ფერმერულ, ოჯახურ და კუსტარულ საქმიანობაზე, ასევე სამკურნალო სამუალებების წარმოებაზე და მათ ბრუნვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

5. სავალდებულო სერტიფიცირება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში და მას განახორციელებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო.

მუხლი 2. მიზნები

ამ კანონის მიზნებია:

ა) განსაზღვროს პროდუქციის მიმართ ტექნიკური რეგლამენტების მიღების მექანიზმები;

ბ) უზრუნველყოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოება;

გ) უზრუნველყოს პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის თაობაზე მომხმარებლის ინფორმირება;

დ) განსაზღვროს ბაზრის ზედამხედველობისა და კონტროლის ძირითადი პრინციპები;

ე) განსაზღვროს დადგენილ ნორმებთან პროდუქციის შესაბამისობის შეფასების ძირითადი პრინციპები;

ვ) შექმნას შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციის დადასტურების ერთიანი ეროვნული სისტემა;

ზ) ხელი შეუწყოს წარმოების სექტორისადმი მომხმარებელთა ნდობის ამაღლებას;

თ) ხელი შეუწყოს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დანერგვით ეაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკრედიტაცია – ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საექსპერტო შეფასება, რომლის განხორციელების შემდეგაც აკრედიტაციის ეროვნული ორგანო შესაბამისი ატესტატის (მოწმობის) გაცემით ოფიციალურად აღიარებს იურიდიული ან ფიზიკური პირის შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას;

ბ) აკრედიტაციის ეროვნული ორგანო – ამ კანონის საფუძველზე შექმნილი ორგანო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა აკრედიტაციას;

გ) აკრედიტაციის მოწმობა – დოკუმენტი, რომელიც აადასტურებს შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას;

დ) ტექნიკური რეგლამენტი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან უშუალოდ ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების, ეტიკეტირების, პროდუქციასთან დაკავშირებული პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ არსებულ მოთხოვნებს;

ე) ტექნიკური რეგლამენტის აღიარება – საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტისათვის საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის სამართლებრივი სტატუსის მინიჭება;

ვ) ტექნიკური რეგლამენტის ეკვივალენტად მიღება – სხვა ქვეყნის კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტის მიმართ საქართველოს

კანონმდებლობის, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული ერთჯერადი აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი ადეკვატურად ასრულებს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების მიზნებს;

ზ) შესაბამისობის შეფასება – პროცედურა, რომლითაც დგინდება, შესრულებულია თუ არა ტექნიკური რეგლამენტების ან სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნები;

თ) შესაბამისობის შემფასებელი ორგანო (სერტიფიკაციის ორგანო) – ამ კანონის შესაბამისად აკრედიტებული, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირი, საკუთრების ფორმის მიუხედავად, რომელიც დადგენილი პროცედურების მეშვეობით აფასებს პროდუქციის შესაბამისობას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან ან ნებაყოფლობით სტანდარტებთან და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს;

ი) შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) – დოკუმენტი, რომლითაც მწარმოებელი ან შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ადასტურებს, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტს ან სხვა წესებსა და მოთხოვნებს; ნებაყოფლობით სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება სავალდებულო არ არის და კონკრეტული პროდუქციის სერტიფიცირება ნებაყოფლობითია;

კ) შესაბამისობის ეროვნული ნიშანი – ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს;

ლ) დაკალიბრების ლაბორატორია – ლაბორატორია, რომელიც აღგენს გაზომვის საშუალების გაზომვის სტანდარტთან შესაბამისობას;

მ) ტესტირების ლაბორატორია – ლაბორატორია, რომელიც ტექნიკური ოპერაციებისა და დადგენილი პროცედურების მეშვეობით აღგენს პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული პროცესის ერთ ან რამდენიმე მახასიათებელს;

ნ) პროდუქცია – საქართველოს ბრუნვაში არსებული საქონელი ან მომსახურება, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის;

ო) უსაფრთხო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც ნორმალურად და გონივრულად გამოყენებისას არ შეიცავს რისკს ან შეიცავს მხოლოდ ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ, მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცველი სხვა

პროდუქციის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქციის სახიფათოდ მიჩნევის საფუძველი;

პ) სახიფათო პროდუქცია – საქონელი ან მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლში მოცემულ „უსაფრთხო პროდუქციის“ განმარტებას;

ჟ) მწარმოებელი:

ჟ.ა) პროდუქციის დამამზადებელი ან სხვა პირი, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დამამზადებლად პროდუქციისათვის თავისი სახელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის მინიჭებით, ან პროდუქციის გადამკეთებელი;

ჟ.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქციის იმპორტიორი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი;

ჟ.გ) სხვა პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქციით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოების მახასიათებლებზე;

რ) დისტრიბუტორი – პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში პროდუქციით უზრუნველყოფის ქსელში და რომლის საქმიანობა გავლენას არ ახდენს პროდუქციის უსაფრთხოების მახასიათებლებზე;

ს) ბაზარზე გატანა – საქართველოს ბაზარზე პროდუქციის პირველადი განთავსება (ხელმისაწვდომად გახდომა), მათ შორის, იმპორტი, პროდუქციის გავრცელების ან გამოყენების მიზნით;

ტ) ბაზრის ზედამხედველობა და კონტროლი – მეთოდების, პროცედურებისა და საქმიანობის ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ კომპეტენტური ორგანოები ბაზარზე გატანილი პროდუქციის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის, შესაბამისობის ეროვნული ნიშნის სწორად გამოყენებისა და პროდუქციის თანმხლები აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობის უზრუნველყოფის მიზნით;

უ) კომპეტენტური ორგანო – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, რომელიც ბაზარზე გატანილ პროდუქციაზე ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს.

ფ) ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ორგანო. *(25.05.2006 N3179)*

თავი II. ტექნიკური რეგლამენტი *(24.06.2005 N 1790)*

მუხლი 4. ტექნიკური რეგლამენტის მიღების საფუძველი

1. ტექნიკური რეგლამენტი მიიღება უსაფრთხოების, ადამიანთა და ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მცენარეთა, გარემოს და საკუთრების დაცვის მიზნით.

2. ტექნიკური რეგლამენტის მიღება ან გამოყენება არ უნდა ქმნიდეს ტექნიკურ ბარიერებს საერთაშორისო ვაჭრობაში იმაზე მეტად, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ კანონის მე-2 მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად.

3. ტექნიკური რეგლამენტი არ გამოიყენება, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები ან მიზნები, რომლებიც იყო მისი მიღების საფუძველი. ტექნიკური რეგლამენტის მიღების საფუძვლის ცვლილება განაპირობებს თავად რეგლამენტის ცვლილებას ისე, რომ იგი გახდეს ნაკლებად შემზღუდველი ვაჭრობისათვის.

4. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები ეკვივალენტად მიიღება მაშინაც კი, როცა ისინი განსხვავდება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისაგან, მაგრამ ადეკვატურად ახორციელებს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისათვის დადგენილ მიზნებს.

მუხლი 5. ტექნიკური რეგლამენტის მიღება, აღიარება და ეკვივალენტად მიღება

1. კონკრეტული პროდუქციის/საქონლის პარტიის მიმართ ტექნიკურ რეგლამენტს შეიმუშავებს შესაბამისი სამინისტრო, სხვა სახელმწიფო დაწესებულება ან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. *(25.05.2006 N3179)*

2. ტექნიკური რეგლამენტი მიიღება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. შესაძლებელია, საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აღიარებული იქნეს სხვა ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტები და ისინი სრულუფლებიანად იქნეს გამოყენებული საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების პარალელურად.

4. აღიარებული ტექნიკური რეგლამენტისათვის საეალდებულო ძალის მინიჭებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესრულების საფუძველზე დასაშვებია ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქციის წარმოება და ბრუნვა.

5. შესაძლებელია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ან სხვა შიდა სამართლებრიეი აქტებით ეკვივალენტად იქნეს მიღებული სხვა ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტი და დაშვებული იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქციის იმპორტი და ბრუნვა.

6. დასაშვებია პროდუქციის იმპორტი და ბრუნვა, თუ ის შეესაბამება აღიარებულ ან ეკვივალენტად მიღებულ ტექნიკურ რეგლამენტებს ან საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს ან სხვა წესებსა და ნორმებს, რომლებიც ადგენს საეალდებულო მოთხოვნებს პროდუქციის მიმართ.

7. აღიარებული და ეკვივალენტად მიღებული ტექნიკური რეგ-

ლამენტის შესაბამისი პროდუქციის იმპორტირება შესაძლებელია პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურით გათვალისწინებული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

8. თუ პროდუქცია წარმოებულია და მისი ბრუნვა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შეფასებისას და შესაბამისობის დადასტურებისას გამოიყენება საქართველოში მოქმედი შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

თავი III. პროდუქციის უსაფრთხოება და ბაზარზე გატანა
(24.06.2005 N 1790)

მუხლი 6. პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები და ბაზარზე გატანა

პროდუქციის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) პროდუქციის მახასიათებლები, მათ შორის, მისი შემადგენლობის, შეფუთვის, აწყობისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციები;

ბ) გაელენა სხვა პროდუქციაზე, როდესაც სავარაუდოა მისი გამოყენება მათთან ერთად;

გ) პროდუქციის წარდგენა, ეტიკეტირება, ინსტრუქცია პროდუქციის გამოყენებისა და გაყიდვის შესახებ, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან მითითება, რომელსაც უზრუნველყოფს მწარმოებელი;

დ) მომხმარებელთა ის კატეგორია, რომელსაც ემუქრება საფრთხე პროდუქციის გამოყენების დროს, განსაკუთრებით – ბავშვები.

მუხლი 7. მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ვალდებულებანი

1. მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე გაიტანოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქცია.

2. მწარმოებელი პროდუქციის ბაზარზე გატანისას ვალდებულია:

ა) მიაწოდოს მომხმარებელს შესაბამისი ინფორმაცია, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს ადეკვატური გაფრთხილების გარეშე შეუმჩნეველი რისკი, რომელსაც შეიცავს პროდუქცია ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით, მისი ნორმალური და გონივრული გამოყენებისას, და მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები ამგვარ რისკთან დაკავშირებით;

ბ) პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიიღოს ზომები პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის და დისტრიბუტორისთვის მისაწოდებლად და ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, საქონლის ან მისი პარტიის განმასხვავებელი ნიშნით გამოყოფის, ნიმუშების ტესტირებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღების ჩათვლით. ასეთი ინფორმაციის

მიწოდება არ ათავისუფლებს მწარმოებელს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. დისტრიბუტორი ვალდებულია იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა. კერძოდ, მან არ უნდა გააერცელოს ისეთი პროდუქცია, რომელიც მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და პროფესიული ცოდნის საფუძველზე, სავარაუდოდ, არ შეესაბამება სავალდებულო მოთხოვნებს. დისტრიბუტორმა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს ბაზარზე გატანილი პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით – პროდუქციასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებით.

მუხლი 8. ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირებული პროდუქციის ბაზარზე გატანა

თუ პროდუქციის უსაფრთხოება რეგულირდება ტექნიკური ნორმებით, მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე გაიტანოს ისეთი პროდუქცია, რომელიც შეესაბამება მისი მარეგულირებელი, საქართველოში მოქმედი ან აღიარებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ან საქართველოში მოქმედ სხვა წესებსა და ნორმებს, რომლებიც ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს პროდუქციის მიმართ.

მუხლი 9. შესაბამისობის დეკლარაცია

1. მწარმოებელი ვალდებულია პროდუქციის ბაზარზე გატანამდე შეადგინოს და ხელი მოაწეროს (მიიღოს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციას.

2. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი;

ბ) პროდუქციის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, ტიპის ან მოდელის ნომერი, პარტია და რაოდენობა);

გ) გამოყენებული სტანდარტის ან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები და საეტიკეტო მონაცემები;

დ) დეკლარაციის შედგენის თარიღი;

ე) უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;

ვ) განაცხადი, რომ მწარმოებელი კისრულობს პასუხისმგებლობას შესაბამისობაზე.

3. ტექნიკური რეგლამენტი შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებითი ინფორმაციის შეტანას შესაბამისობის დეკლარაციაში ან მის სპეციფიკურ ფორმას.

4. შესაბამისობის დეკლარაცია ქართულ ენაზე უნდა იყოს შედგენილი.

5. თუ პროდუქციაზე ვრცელდება ერთზე მეტი ტექნიკური რეგლამენტი, შესაძლებელია შესაბამისობის დეკლარაციათა კომბინირება ერთ დოკუმენტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს დეკლარაციის სპეციფიკურ ფორმას.

6. მწარმოებელი ვალდებულია შეინახოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქციის წარმოებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, თუ ტექნიკურ რეგლამენტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

7. შესაბამისობის დეკლარაცია მოთხოვნისამებრ უნდა წარედგინოს ბაზრის ზედამხედველ ორგანოს. დეკლარაცია უნდა ერთვოდეს პროდუქციას, თუ ამას ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტი.

თავი IV. აკრედიტაცია *(24.06.2005 N 1790)*

მუხლი 10. აკრედიტაციის ფარგლები

აკრედიტაციის ეროვნული ორგანო ახორციელებს შესაბამისობის შემფასებელი ლაბორატორიების, დაკალიბრების ლაბორატორიების, მეტროლოგიური დამოწმების ლაბორატორიების, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, და ფიზიკური პირების აკრედიტაციას.

მუხლი 11. აკრედიტაციის საფუძველი

1. აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს დებულებისა და მის მიერ მიღებული იმ წესების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, საერთაშორისოდ აღიარებულ, აკრედიტაციის ორგანოების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და დოკუმენტებს.

2. მეტროლოგიური დამოწმების ლაბორატორიის აკრედიტაცია ხორციელდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების საფუძველზე.

3. აკრედიტაციის წესები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

4. აკრედიტაციის ეროვნული ორგანო აკრედიტაციის სამუშაოებს ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და უწევს მას კონსულტაციას აკრედიტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ეროვნული ორგანო ვალდებულია ასეთი ხელშეკრულება გააფორმოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან.

5. აკრედიტაციის მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის მიღების მსურველი პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებს.

6. მხოლოდ აკრედიტებულ ორგანოს აქვს უფლება, განახორციელოს შესაბამისობის შეფასება.

მუხლი 12. აკრედიტაციის ვადა

აკრედიტაციის მოწმობა გაიცემა განსაზღვრული ვადით. აკრედიტებული ორგანო უნდა აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის მოთხოვნებს

მთელი აღნიშნული ვადის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აკრედიტაცია გაუქმდება.

თავი V. შესაბამისობის შეფასება (*24.06.2005 N 1790)*

მუხლი 13. შესაბამისობის შეფასების პროცედურები

1. ტექნიკური რეგლამენტით დგინდება პროდუქციის/საქონლის პარტიის შესაბამისობის შეფასების პროცედურები. შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხორციელდება შემდეგი ფორმებით: *(25.05.2006 N3179)*

ა) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით;

ბ) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან კონკრეტული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების მიზნით მისი აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსთვის წარდგენით.

2. შესაბამისობის შეფასების პროცედურათა სახეები და მათთან დაკავშირებული ვალდებულებანი განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. საქონლის პარტიის თავისებურებებიდან, მისი ტექნიკური სირთულისა და საფრთხის სიდიდიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგლამენტი უნდა ითვალისწინებდეს პროდუქციის ბაზარზე გატანამდე ჩასატარებელ შესაბამისობის შეფასების პროცედურათა შესაძლებელ ვარიანტებს.

4. პროდუქციის აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის შეფასებისას გამოიყენება პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

5. შესაბამისობის შეფასება ნებაყოფლობითია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. აკრედიტებული ორგანოს მიერ ჩატარებული შესაბამისობის შეფასების ხარჯების გაწევა ეკისრება მწარმოებელს ან იმპორტიორს.

მუხლი 14. შესაბამისობის ეროვნული ნიშანი

1. შესაბამისობის ეროვნული ნიშნით პროდუქციის ნიშანდება ხორციელდება, თუ ჩატარებულია შესაბამისობის შეფასების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა.

2. შესაბამისობის ეროვნული ნიშნით პროდუქციის ნიშანდებას ბაზარზე გატანამდე ახორციელებს მწარმოებელი ან იმპორტიორი.

3. შესაბამისობის ეროვნული ნიშნით პროდუქციის ნიშანდება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ამას ითვალისწინებს ის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც გამოსაყენებელია ამ პროდუქციის მიმართ.

4. შესაბამისობის ეროვნული ნიშანი დაიტანება პირდაპირ პროდუქციაზე, ხოლო თუ პროდუქციის თავისებურებებიდან გამომდინარე ეს შეუძლებელია, – შეფუთვაზე. ნიშანი უნდა იყოს ხილული, აღვი-

ლად გარჩევადი და მოუცილებადი.

5. როდესაც შესაბამისობის შეფასებაში მონაწილეობს აკრედიტებული ორგანო, მისი საიდენტიფიკაციო კოდი დაიტანება პროდუქციაზე შესაბამისობის ეროვნულ ნიშანთან ერთად.

6. საქონელზე შეიძლება დატანილი იქნეს სხვა ნიშანიც, თუ იგი არ აირევა შესაბამისობის ეროვნულ ნიშანთან და არ შეამცირებს მის ხილვადობას.

მუხლი 15. საზღვარგარეთ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარება

საზღვარგარეთ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარება ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების მიხედვით.

თავი VI. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო
(24.06.2005 N 1790)

მუხლი 16. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

1. აკრედიტაციის განხორციელების მიზნით იქმნება აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (შემდეგომში – ცენტრი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონითა და დებულებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ცენტრის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

2. ცენტრის დებულებას, სტრუქტურასა და სამტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 17. ცენტრის გენერალური დირექტორი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის წარდგინებით.

2. ცენტრის გენერალური დირექტორის უფლებამოსილება წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ცენტრის გენერალური დირექტორის მოქმედების შეზღუდვის და თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 18. ცენტრის გენერალური დირექტორის სამართლებრივი აქტები

ცენტრის გენერალური დირექტორი ამ კანონითა და „ნორმა-

ტიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტებს — ბრძანებებს.

მუხლი 19. ცენტრის ანგარიში

ცენტრი თავისი საქმიანობის შესახებ ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

მუხლი 20. ცენტრის ფუნქციები

ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ამ კანონის შესაბამისად შესაბამისობის შემფასებელ ორგანოთა აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შემუშავება, მიღება და გამოქვეყნება;

ბ) აკრედიტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის;

გ) აკრედიტაციის სამუშაოების ჩატარება;

დ) აკრედიტაციის მოწმობის გაცემა, მოქმედების შეჩერება და გაუქმება;

ე) აკრედიტებულ ორგანოებზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება;

ვ) აკრედიტებული ორგანოების რეესტრის წარმოება;

ზ) აკრედიტაციასთან დაკავშირებული დავების განხილვა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წარმოდგენა აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში;

ი) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 21. აკრედიტებული ორგანოების რეესტრი

1. ცენტრი აწარმოებს რეესტრს, რომელშიც შეიტანება:

ა) აკრედიტირებული ორგანოების ნუსხა;

ბ) აკრედიტაციის მოთხოვნების შემცველი დოკუმენტების ნუსხა.

2. ცენტრი ვალდებულია მუდმივად გაანახლოს რეესტრი.

მუხლი 22. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტი;

ბ) აკრედიტაციის სამუშაოებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შემოსავალი;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 23. ცენტრის სახელმწიფო კონტროლი

1. ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს ამისთვის საჭირო მასალები და ინფორმაცია.

2. ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

3. ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას ყოველწლიურად ამოწმებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი. აუდიტორის მომსახურებისათვის გადასახდელი თანხების გადახდა ეკისრება ცენტრს.

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია შეამოწმოს ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერება, მიზანშეწონილობა.

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და გააუქმოს ცენტრის გენერალური დირექტორის არამართლზომიერი სამართლებრივი აქტი.

თავი VII. ბაზრის ზედამხედველობა და კონტროლი
(24.06.2005 N 1790)

მუხლი 24. კომპეტენტური ორგანოები

კომპეტენტური ორგანოები მოქმედებენ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 25. კომპეტენტური ორგანოების უფლებები

1. ამ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ შემდეგი ძირითადი უფლებები:

ა) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში:

ა.ა) განახორციელონ უსაფრთხო პროდუქციის სახით ბაზარზე გატანილი პროდუქციის შემოწმება და ამ მიზნით აიღონ მისი ნიმუშები;

ა.ბ) მწარმოებელს ან დისტრიბუტორს მოსთხოვონ აუცილებელი ინფორმაცია;

ბ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომლის განსაზღვრულ პირობებში გამოყენება უკავშირდება რისკს:

ბ.ა) მოითხოვონ რისკის თაობაზე შესაბამისი, ნათლად ჩამოყალიბებული გაფრთხილების პროდუქციაზე დატანა ქართულ ენაზე;

ბ.ბ) მოითხოვონ პროდუქციის რეალიზაციისათვის შესაბამისი

პირობების შექმნა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს საფრთხეს პირთა განსაზღვრული წრისათვის, მოითხოვოს ამ პირთა გაფრთხილება გონიერულ ვადაში და საოანადო ფორმით, მათ მორის, აუცილებლობის შემთხვევაში, რისკის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება;

დ) ნებისმიერი პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება სახიფათო იყოს, შესამოწმებლად საჭირო პერიოდის განმავლობაში დროებით შეზღუდოს ხელმისაწვდომობა;

ე) ნებისმიერი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ გაგანილა ბაზარზე, აკრძალოს მისი ხელმისაწვდომობა და განახორციელოს დამაგებითი ღონისძიებები აკრძალვის გასაკონტროლებლად;

ვ) ბაზარზე გაგანილი სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში:

ვ.ა) გამოსცეს ბაზრიდან მისი ამოღების აქტი და ორგანიზება გაუწიოს მის დაუყოვნებლივ შესრულებას; გაავრცელოს ინფორმაცია რისკის თაობაზე;

ვ.ბ) უზრუნველყოს მომხმარებლებისაგან მისი ამოღება და განადგურება მწარმოებელთან ან/და დისტრიბუტორთან კოორდინაციით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დამოუკიდებლად.

2. თუ კომპეტენტური ორგანო არ ფლობს შესაბამის სამუალებებს პროფესიული ექპერტიზის განსახორციელებლად, მას შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს შესაბამის ორგანოს.

მუხლი 26. კომპეტენტური ორგანოების მოვალეობები

კომპეტენტურმა ორგანოებმა ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით და რისკის ხარისხის გათვალისწინებით.

მუხლი 27. შემოწმების ხარჯები

თუ შემოწმების შედეგად პროდუქცია სახიფათო აღმოჩნდება, შემოწმების პროცედურების ხარჯების გაწევა, შესამოწმებელი ნიმუშების ღირებულების ჩათვლით, ეკისრება მწარმოებელს ან დისტრიბუტორს, შესაბამისად მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ბრალის გათვალისწინებით.

მუხლი 28. კომპეტენტური ორგანოების სხვა უფლება-მოვალეობები

კონკრეტული პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ სპეციალური ნორმატიული აქტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით შესაძლე-

ბელია განისაზღვროს კომპეტენტური ორგანოების დამატებითი უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 29. პასუხისმგებლობა

ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი VIII. გარდამავალი დებულებანი
(24.06.2005 N 1790)

მუხლი 30. ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება

1. ტექნიკური რეგლამენტის შემუშავებისას შესაბამისმა დარგობრივმა სამინისტრომ ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებამ საფუძვლად უნდა გამოიყენოს ევროკავშირის სათანადო დირექტივები და სხვა ნორმატიული აქტები.

2. საქართველოს მთავრობამ 2 თვის ვადაში შეიმუშაოს მისაღები ტექნიკური რეგლამენტების ნუსხა, შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოსა და ვადების მითითებით.

მუხლი 31. გარდამავალ ეტაპზე პროდუქციის ტექნიკური რეგულირება

გარდამავალ ეტაპზე შესაძლებელია პარალელურად მოქმედებდეს რამდენიმე ალტერნატიული მოთხოვნა კონკრეტული პროდუქციის მიმართ. დასაშვებია სხვადასხვა მოქმედი ნორმებიდან ერთ-ერთი მოთხოვნის შესაბამისი კონკრეტული პროდუქციის წარმოება და ბრუნვა ისე, რომ არ იყოს აუცილებელი საქართველოში მოქმედი სხვა ტექნიკური რეგლამენტების ან აღიარებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე*

თბილისი,
1996 წლის 6 სექტემბერი
N 376 - 1ს

გამოყენებული ლიტერატურა

1. Амирджанянц Ф.А., Мигачев Б.С., Назаров Н.Г., Сычев Е.И. Методы оценки эффективности сертификации: Учеб. пособие. – М.: Логос, 2004. – 264 с.: ил.

2. Абрамов В.А. Сертификация продукции и услуг: Практическое пособие– 2-е изд. перераб. и доп. М.: Издательство «Ось-89», 2001 г. – 288 с.

3. ბალიაშვილი მ.ა. სტანდარტიზაცია ხარისხის მართვაში: სახელმძღვანელო. — თბილისი: — გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2001.–258 გვ.

1. Баскаков М.И. Сертификация продукции и услуг с основами стандартизации и метрологии: Учебное пособие. Издание 2-е, испр. и доп. – Ростов-на-Дону: издательский центр «МарТ», 2002 – 256 с.

4. ზედგინიძე ი.გ., ბალიაშვილი მ.ა. სტანდარტიზაციის თეორია: სახელმძღვანელო. თბილისი: — გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2004. 250 გვ.

5. ზედგინიძე ი.გ., ბალიაშვილი მ.ა., ჯაფარიძე შ.ბ. ხარისხის მენეჯმენტი: სახელმძღვანელო. — თბილისი: — გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, 2002. — 388 გვ.

6. Крылова Г.Д. Основы стандартизации, сертификации, метрологии: Учебник для вузов.–2-е изд., перераб. и доп.–М.: ЮНИТИ–ДАНА, 1999.

7. Лифиц И.М. Основы стандартизации, метрологии, сертификации: Учебник. – 2-е изд, испр. и доп. -М.: Юрайт-М, 2001. – 268 с.

9. Сергеев А.Г., Латышев М.В. сертификация: Учебное пособие для студентов вузов. Изд. 2-е, перераб.и доп. М.: Логос, 2001. –264 с.

შინაარსი

1. სერტიფიკაციის არსი 3
2. ნებაყოფლობითი და სავალდებულო სერტიფიკაცია.. 8
3. სერტიფიკაციის სისტემა..... 11
4. სერტიფიკაციის სქემები..... 14
5. სერტიფიკაციის ორგანო..... 20
6. საგამოცდო ლაბორატორია..... 27
7. სერტიფიკაცის წესი..... 28
7.1. პროდუქციის შესაბამისობის შეფასება 31
7.2. მომსახურების შესაბამისობის შეფასება..... 35
7.3. პერსონალის შესაბამისობის შეფასება..... 36
7.4. ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია..... 38
7.5. შესაბამისობის შეფასების შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება სერტიფიკაციის შესახებ..... 45
7.6. შესაბამისობის დეკლარაცია..... 48
8. სერტიფიკაციის ექსპერტები..... 48
9. სერტიფიკაციის სისტემის რეესტრი..... 49
10. შესაბამისობის ნიშანი..... 51
11. სერტიფიცირებულ ობიექტზე საინსპექციო კონტროლი და ტექნიკური რეგლამენტების დაცვაზე ზედამხედველობა..... 53
12. სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარების ღირებულება..... 60
13. ხარისხის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციები..... 63
დანართი – საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ..... 75
გამოყენებული ლიტერატურა..... 89
შინაარსი..... 90

ბალიაშვილი მედეა

მენაბდე თამარი

სერტიფიკაცია

(იბეჭდება ავტორების მიერ წარმოდგენილი სახით)

გადაეცა წარმოებას 20.10.2006 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.11.2006 წ. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. გარნიტურა literaturuli_BJG_2000. ნაბეჭდი თაბახი 5,70. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,75. ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა 06/3

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი-ინფორმატიზაციის ცენტრი“
ქ.თბილისი, მ. კოსტავას,77

ორიგინალ-მაკეტი დამზადებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ინფორმატიზაციის ცენტრში
ქ.თბილისი, მ.კოსტავას,77

ტირაჟი დაბეჭდილია ინდივიდუალურ საწარმოში „გოჩა დალაქიშვილი“
ქ.თბილისი, მ.კოსტავას,77